# სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.

● №2 (4593) ● 12 თებერვალი ● 2020 წელი ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი


„თამარიონში“ შემოქმედებითი საქმიანობა ჩქეფს

## მსჯელობენ მავნე მოვლენებზე: „არა – ბულინგს!“



„თამარიონი“ - მოზარდ შემოქმედთა ჯგუფი

**სკოლა „თამარიონში“** ნაკლებად უხდებათ მსჯელობა ამ თემაზე, რომელზედაც ახლა უნდა ვისაუბროთ. ეს , დამეთანხმებით, რომ ბედნიერებაა, რადგან დღეს იშვიათია სფერო, სადაც ძალადობის თემა არ იყოს აქტუალური. სამწუხაროდ, ძალიან ხშირია ძალადობის შემთხვევები ოჯახში, სკოლაში, სამსახურში, ქუჩაში... დღეს სიტყვა ძალადობა, ძირითადად შეცვალა ტერმინმა-**„ბულინგი“.** ამ გამონაკლის შემთხვევაში არანაირი მნიშვნელობა არა აქვს ტერმინს. მთავარი ის საშინელებაა, რაც ამ სიტყვის უკან ჩასაფრებულა და ანგრევს ბავშვების, მოზარდებისა და საერთოდ ყველა ასაკის ადამიანის ფსიქიკას.

ბულინგი - **ძალადობა, დაშინება, ჩაგვრა** - საშინელებაა. განსაკუთრებით მოზარდთა ცხოვრებაში.

ბულინგი, თვითონ ეს სიტყვა საზარლად ისმის, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც ეს გრძნობა ერთხელ მაინც განუცდია. ასეთ ადამიანებს გაღვიძების ეშინიათ... ეშინიათ, რომ ისევ კოშმარული დღე დადგება, როცა მასზე ფიზიკურ თუ ვერბალურ ძალადობას განახორციელებენ.. და იწყება ჯოჯოხეთი... განსაცდელი, რასაც ვერ უმკლავდება...

განგაშის ზარები უნდა ავტეხოთ ! გავიგონოთ, დავინახოთ, მოვუსმინოთ...და რაც მთავარია, გადავარჩინოთ, რადგან ხვალ დაბულინგებული ჩვენ თუ არა , ჩვენი შვილები , შვილიშვილები არ აღმოჩნდენენ. უნდა გვახსოვდეს, რომ ძალადობით მიყენებული ტრავმა მთელი ცხოვრების მანძილზე შეიძლება გაჰყვეს ადამიანს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს სკოლაში მოსწავლეებთან ურთიერთობა, მათი ინტერესების დაცვა და გათვალისწინება უპირველეს მოვალეობად ქცეულა, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ , ბულინგთან დაკავშირებით ჩაგვეტარებინა საკმაოდ სერიოზული ღონისძიება.

გაიმართა კვირეული **-„არა – ბულინგს!“** კვირეულს ხელმძღვანელობდნენ ქართული ენისა და ლიტერატურის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ესთეტიკური აღზრდის კათედრები. (სამოქალაქო სამართლის მასწავლებელი - **თათია გურგენიძე,** ფილოლოგები: **ნ. განდელიძე, ხ. კაშია, ნ. ცერცვაძე, შ. გავაშელიშვილი,** ხატვის მასწავლებელი **- ფიქრია ტაბატაძე.)**

VI -დან XI -ის ჩათვლით არ დარჩენილა კლასი, სადაც ამ თემაზე არ ჩაეტარებინოთ გაკვეთილები, (VI[1] ,VI[2] ,VI[3] ,IX[2], VIII[1] ) არ განეხილათ ამ თემასთან დაკავშირებული პრობლემები, არ ეკამათათ, არ მოეძიებინათ ინფორმაციები. დაიწერა არაერთი არგუმენტირებული ესსე, მოთხრობა, ჩანახატი; VIII კლასის მოსწავლეებმა წარმოადგინეს ნახატები. კლასებში მოეწყო გამოფენები ნამუშევრებისა. კედლის გაზეთი შექმნა VIII[1] კლასმა ; IX-X-XI კლასის მოსწავლეებს ვუჩვენეთ **დიმიტრი კიკაბიძის** ფილმი **„ტბა“**. ფილმის ნახვის შემდეგ გააანალიზეს ფილმი და იმსჯელეს მოზარდების იმ ძირითად პრობლემებზე, რომლებიც ფილმში იყო წამოჭრილი; სხვადასხვა კლასის მოსწავლეებს ვუჩვენეთ მოსწავლეების მიერ შექმნილი ვიდეორგოლები, მულტიმედიის ნიმუშები... მოვაწყვეთ ნანახი ფილმების განხილვა.

გავეცანით მოსწავლეთა მიერ დაწერილ ესსეებს, ჩანახატებს. მათგან ამოვარჩიეთ საუკეთესოები და გამოვეცით ჟურნალის სახით.

კვირეულის ბოლოს კი ჩატარდა შემაჯამებელი ღონისძიება. შევაჯამეთ მთელი კვირის მანძილზე გაწეული საქმიანობა; მოსწავლეებმა გაგვაცნეს გამოკითხვის შედეგები სკოლის მასშტაბით; გაგვაცნეს ბულინგის მსხვერპლთა სტატისტიკა მსოფლიოსა და საქართველოს მასშტაბით; მოვისმინეთ პრეზენტაციები ამ საკითხთან დაკავშირებით. წაგვიკითხეს ესსეები, ჩანახატები, მოთხრობები... თემა იყო მძიმე, ტკივილიანი, ცრემლიანი... მაგრამ საქმიანი.

ღონისძიების ბოლოს დაჯილდოვდნენ შემოქმედებითი უნარით გამორჩეული მოსწავლეები, ასევე კლასები, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს კვირეულში.

კიდევ ერთხელ მოვისმინეთ ბულინგის საშინელების შესახებ, კიდევ ერთხელ ვიგრძენით მისი გესლი და შხამი და მივედით იმ დასკვნამდე, რომ ყველამ ერთად უნდა დავგმოთ და ყველამ ერთად უნდა ვთქვათ ხმამაღლა: „ა რ ა – ბ უ ლ ი ნ გ ს !“

*ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ხელმძღვანელი:*

ნინო განდელიძე

*ახლა კი გაგაცნობთ ამონარიდებს კონკურსში გამარჯვებული თემებიდან თუ ესსეებიდან;*

***

ქეთა კოვზირიძე

*XI კლასი*

### „გაქცეხილი სალამური“

**„...ამდენი** წლის მანძილზე დაგროვილი გაურკვეველი ნეგატივი კოკას მიმართ , ახლა აქ იყო ჩვენს წინ, უკვე ამოხეთქილი და უბედურებისკენ მიდრეკილი . დღემდე არ ვიცი, ჰქონდა თუ არა ამ ქმედებას კონკრეტული მიზეზი, რომელიც იქამდე წარმოჩნდა, სანამ მე ჩხუბის ხმაზე ოთახიდან გამოვიდოდი, თუ მართლა შეიძლება განსხვავებულობა საბედისწერო აღმოჩნდეს და ადამიანს სიცოცხლის ფასად უჯდებოდეს, მაგრამ ვიცი რომ კოკას ბოლო ფრაზა, მარტივი მიზეზი იყო ბიჭებისთვის საკუთარი სიძულვილის ერთხელ და სამუდამოდ ჩასახშობად, ამიტომ კოკას ცრემლიან თვალებს, გამტყდარ ხმასა და დამსხვრეულ სალამურს წამებში მოჰყვა წითელი ლაქა მის თეთრ პერანგზე, შიშისგან ყველა მიმართულებით გაქცეული ბიჭები და გაყინული მე.

საზიზღარი მე, რომელმაც ვერაფერი შევძელი ამ მოვლენის შესაჩერებლად და, როგორც უმოქმედო მაყურებელი, მეც მკვლელად ვიქეცი, ამის გამო კოკა სწორედ მაშინ გამოესალმა სიცოცხლეს, როცა მისი სიყვარული დაიწყო. ამის ჩამდენები კი ისე გაქრნენ ადგილიდან, თითქოს უპატიებელი დანაშაული არ ჩაედინოთ,თუმცა დამტოვეს მე, დასისხლიანებული კოკა და მისი სამუდამოდ დადუმებული, გატეხილი სალამური.“

***

თამარ ჩხეტიანი

*X კლასი*

### „არა – ბულინგს!“

**დღეს** თქვენს წინ ხმას ვიმაღლებ და ვამბობ:

-არ აიტანოთ! არც თავი დახაროთ! და არც არაფერი ჩაყლაპოთ! არც ერთი ადამიანი არ დგას მეორეზე მაღლა.

შეიძლება სოციალური და სხვა ფაქტორებით კი, მაგრამ უფლებებით, არა! არც ერთი ადამიანის გარეგნობა და ფიზიკურობა ნამდვილად არ არის დასაცინი.

მე მიყვარს ჩემი ცხოვრება, მიყვარს ჩემი გარეგნობა და სხეული და თუ შენ გაიძულებენ, იფიქრო, რომ საკუთარი თავის სიყვარული, სხეულის ფორმების ზომებით და აღნაგობით განისაზღვრება, დაუმტკიცე მათ, რომ ეს ასე არაა!

და შეიყვარე საკუთარი თავი.

აიმაღლე ხმა სიძულვილის წინააღმდეგ.

ერთმანეთის მიმართ სიძულვილის წინააღმდეგ!

არა – ბულინგს!..“



„თამარიონი“ - მოზარდ შემოქმედთა ჯგუფი

***

მარი ხეცაძე

*X კლასი*

### „ყველასგან მივიწყებულნი“

**ჩვენ,** ბულერები, ვამპირებივით ვართ, ნება მიბოძეთ, ვამპირების შესახებ ერთი რამ მოგითხროთ...

გადარჩენისთვის ვამპირებს სისხლი სჭირდებათ, როდესაც ისინი სხვა ადამიანის სისხლს სვამენ, გარკვეული დროის შემდეგ ის ადამიანიც ვამპირად იქცევა. სწორედ ეს ხდება ჩვენთანაც, როცა ძალა გამოცლილი გაქვს, გვერდით არავინ გყავს, ცდილობ ეს სხვასაც აგრძნობინო და სწორედ მაშინ ხვდები, რომ მარტო არ ხარ.

ბულინგი ყველამ ვიცით, რომ არასწორია, მაგრამ ეს ზოგიერთისთვის გადარჩენის ერთადერთი გზაა.

არასწორია, როცა მსხვერპლი დეპრესიაში ვარდება, თვითშეფასება ეცემა, მაგრამ სწორედ მაშინ იზიარებს ის მჩაგვრელის გრძნობებს. არ ვამბობ, რომ ეს კარგია, ან სწორია, მაგრამ ჩვენთვის ეს სწორედაც რომ ემოციებისგან ცოტა გათავისუფლების ერთადერთი საშუალებაა.

ბულერები არ ვართ გაუცნობიერებულნი, ჩვენ კარგად ვიცით, რასაც ვაკეთებთ.

უბრალოდ ვინმეს დახმარება გვჭირდება, გვჭირდება გვერდში ამოდგომა, გაცნობიერება იმისა, რომ ვინმეს ვადარდებთ და მარტო არ ვართ, მაგრამ ჩვენზე არავინ ფიქრობს, ჩვენ ყველასთვის საძულველი ადამიანები ვართ, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავზე რომ ფიქრობენ.

***

ანა ჩოხელი

*X კლასი*

### „ბულინგი ანგრევს...“

**„ბულინგს** ქმნიან ის ადამიანები, ვისთვისაც მისაღებია აგრესიაზე დაფუძნებული ურთიერთობა, ადამიანები, რომლებიც ამართლებენ რაღაცის მოპოვებას სხვისი ჩაგვრის ხარჯზე. ისინი ვერ ხვდებიან, რომ მათი „ხუმრობებით“ ადამიანს ღირსებას ულახავენ, დეპრესიისა და თვითგვემის ისეთ ბნელ ჯურღმულში აგდებენ, საიდანაც ამოსვლა შეუძლებელია. ეს სისტემატური „ოინები“ ადამიანს დღითიდღე ცხოვრების სურვილს უკარგავს, ამახინჯებს ბავშვის ფერად სამყაროს, თვითშეფასებას იმდენად უდაბლებს, რომ იგი თავის თავში ეძებს შეცდომას , იგი გამალებით ეძებს მას, რათა გამოასწოროს იგი და სამუდამოდ მოუღოს ბოლო ამ წამებას, ტკივილს, რომელიც ყოველი“ღადაობისა“ და „გესლიანი კბენისას“ გავარვარებული ლავასავით გულში ეღვრება და სუნთქვის უნარს აკარგვინებს, მაგრამ ამას აზრი არა აქვს. რაც არ უნდა ეცადო ,შენი ნაკლის გამოსწორებასა და სხვებზე დამსგავსებას, შენ მაინც დარჩები დაცინვის ობიექტად, რადგან ამ უიმედობის ჯურღმულიდან გასაქცევი გზა არ არსებობს.

წლების განმავლობაში ატანილი დამცირება ნელ-ნელა ილექება და ის ატანილი ტკივილი, სიბრაზე

გაგრძელება მე-2 გვ.

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

# როცა საქმეს პროფესიონალები აკეთებენ





**სათანადო** დარგის ფსიქოლოგთა მტკიცებით, პირველი შთაბეჭდილება 30-ოდ წამში ყალიბდება და მერე და მერე, ძირითადად, აღარ იცვლება.

თბილისის 122-ე საჯარო სკოლის დირექტორთან, ქალბატონ **მედეა ქოქრაშვილთან** პირველი შეხვედრის შთაბეჭდილება — **ადამიანი თავის ადგილზე**.

მისი დინჯი, გამართული მსჯელობა ადასტურებს, რაოდენ ღრმად უწყის განათლების სისტემა, სკოლა და რაოდენ მონდომებულია, რათა ყოველი ყმაწვილი სამშობლოს სასიკეთო პიროვნებად აღიზარდოს.

სხვაგვარად ვერც იქნება: 1989 წელს დაამთავრა დედაუნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი (შემდეგ – ასპირანტურა) და მუშაობა პროფესორ ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დაიწყო მეცნიერ მუშაკად. 2001 წელს... აღმზრდელ, 122-ე სკოლაში დაბრუნდა ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლად; 2014 წლიდან კი დირექტორია. არის მასწავლებელთა განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენერ-კონსულტანტი და, მილენიუმის პროგრამის ფარგლებში, დირექტორთა და მასწავლებელთა ტრენერი.

თუ სათავე წმინდაა, წყაროც ანკარა მოედინება: სკოლის 51 მასწავლებლიდან ერთი მაძიებელია, 6 – წამყვანი, დანარჩენი კი – უფროსი. ვერ ვიხსენებ ასეთ „ტიტულოვან“ სკოლას.

ზემოთქმულის მერე აღარ გაგვიკვირდება, რომ შარშან 12 ოქროსა და 4 ვერცხლის მედალოსანი ჰყავდათ (სკოლაში 872 მოსწავლეა). ისინი სხვადასხვა ხარისხის გრანტებით განაგრძნობენ სწავლას უმაღლეს სასწავლებლებში. ეს ხომ თავისთავად დიდებულია, მაგრამ პედაგოგთა შრომის მთავარი საწყაო ისაა, რომ სწავლების პროცესი თითოეულ მოსწავლეს მოიცავს, მჯობნის მჯობნი კი გვიმრავლოს ღმერთმა.

სასწავლო პროცესი ასევე მოიცავს ინკლუზიური სწავლების საჭიროებას 16 მოსწავლეს. მათთან ორი სპეცპედაგოგი და ფსიქოლოგი მუშაობენ.

გამართულად, მიზანმიმართულად და ურთიერთშეთანხმებულად მუშაობს 7-ვე საგნობრივი კათედრა. მასწავლებლები პერმანენტულად იმაღლებენ ოსტატობას და შედეგიც სახეზეა.

რამდენიმე წლის წინათ, სათანადო საერთაშორისო ორგანიზაციამ გამოიკვლია საქართველოს მოსწავლეთა აზროვნების დონე და აღმოჩნდა, რომ ამ მხრივ მსოფლიოში ერთ-ერთ ბოლო ადგილზე ვიყავით.

122-ე სკოლაში ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შესატყვისი სპეციალური პროგრამებით უვითარებენ მოსწავლეებს კრიტიკულ, ანალიტიკურ აზროვნებას, შემოქმედებით, ვი-



თარებაში მყისიერად გარკვევის, სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარებს, რამაც უნდა ნელ-ნელა აღმოფხვრას ზემოხსენებული სამარცხვინო მაჩანჩალობა, რაც აგრერიგად გამოადგებათ ყმაწვილებს ცხოვრებაში. ამასვე განაპირობებს ციფრული ტექნოლოგიების ჩართვა სასწავლო პროცესში, რადგან თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნის გარეშე შორს ვერ წახვალ.

სათანადო პირობების გარეშე, დიდი მონდომების მიუხედავად, სკოლის კოლექტივის მუშაობის მარგი ქმედების კოეფიციენტი გაწეულ შრომაზე ნაკლები იქნება. ამიტომ სკოლა მუდმივად ზრუნავს, რათა პედაგოგებსაც და მოსწავლეებსაც სწავლა-სწავლების ხელსაყრელი პირობები შეუქმნას. სახელდობრ: გარემონტდა სპორტული დარბაზი და ორი ღია სპორტული მოედანი, საკლასო ოთახები, დერეფნები, დაიგო აფალტი, მთლიანად შეიცვალა ელექტროგაყვანილობა და აღდგა სკოლის მე-2 კორპუსი. ცხადია, განათლების სამინისტროს დახმარებით მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება-გამდიდრება უწყვეტი პროცესია.

სკოლას მუდმივი კავშირი აქვს მშობლებთან. კლასების დამრიგებლებმა დროულად გააცნეს მათ სასწავლო გეგმები, მოისმინეს მათი აზრი. ელექტროჟურნალ „სქულბექის“ მეშვეობით, მშობლები ყოველდღიურად იგებენ შვილების ყოფაქცევის ამბებს, მონაწილეობენ სოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

სკოლას მრავალ უმაღლეს სასწავლებელთან აქვს შემოქმედებითი ურთიერთობა. ილია სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტები აქ გადიან პედაგოგიურ პრაქტიკას და, თუნდაც აქ არ დაიწყონ მუშაობა მასწავლებლებად, სადაც მივლენ, ხომ ექნებათ მცირე, მაგრამ მაინც პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება?!

მისასალმებელი სიახლე: სატანურმა ე. წ. მუსიკამ ლამის წაგვლეკოს. ამ მქისე ფონზე მით უფრო დასაფასებელია, რომ 122-ე სკოლაში, შესვენებაზე კლასიკურ მუსიკას ასმენინებენ: ბეთჰოვენი, მოცარტი, ბახი, შოპენი, ბრამსი, ფალიაშვილი, ყანჩელი, აზარაშვილი... შემდეგ კი ყმაწვილები მუსიკის მასწავლებლებთან ერთად მსჯელობენ მოსმენილზე. რამდენად უფაქიზებს ეს სულს მოსწავლეებს...

სკოლა 14-მა ღვაწლმოსილმა პედაგოგმა დატოვა და ამდენივე ახალი კადრით შეივსო. ქალბატონი მედეას თქმით, საჭიროა ხოლმე „ახალი სისხლი“. გვჯერა, „ახალმოსახლენი“ ორგანულად შეერწყმებიან 122-ე სკოლის პედაგოგთა შემოქმედებით, მიზანდასახულ, კვალიფიციურ კოლექტივს და ყველა ერთად ამრავლებს სკოლის წარმატებებს.

კოტე სარალიძე





# მსჯელობენ მავნე მოვლენებზე: „არა ბულინგს!“

პირველი გვერდიდან

და აგრესია, უკვალოდ არ ქრება. ყველაზე მეტად კი ამ ტკივილს ჩვენი პრობლემებისა და დარდის სხვასთან გაზიარების უუნარობა ამწვავებს. რუსთაველი კი ამბობს: „დიდი ლხინია ჭირთა თქმა.“ ჩვენ მარტონი ვრჩებით იმ ცივ და ბნელ სამყაროში. ჩვენ და ჩვენი დეპრესიული ფიქრები, რომლებიც კიდევ უფრო აბნელებენ ჩვენს გულსა და გონებას და სხვა რამეზე ფიქრის უნარს გვაკარგვინებს.

***

ნიკა ვადაჭკორია

*X კლასი*

## „ნენე, რომელმაც ფრენა გადაწყვიტა“

**„...ყველა** არხზე ერთი და იგივე ამბავი ტრიალებს, თუ როგორ გადახტა 15 წლის გოგო ფანჯრიდან. მოიცა... ეს ხომ ნენეს კორპუსია. ხმას ავუწიე და გაფაციცებული შევყურებდი ეკრანს. დავინახე, როგორ ანათებდა მიწაზე დამხობილი ოქროს კულულა და მივხვდი, რომ ეს ნენე იყო. ენა ჩამივარდა, სისხლი გამეყინა, ვეღარ ვსუნთქავდი, უბრალოდ ვუყურებდი ეკრანს, მაგრამ ვერაფერს ვხედავდი. ყველაფერი შავმა მოიცვა, მაგრამ მესმოდა, თუ როგორ კითხულობდნენ მის უკანასკნელ წუთებში დაწერილ წერილს. „გოგონა ბულინგის მსხვერპლი აღმოჩნდა და როგორც ჩანს, თვითმკვლელობის მიზეზიც ეს გახდა, ხოლო ბრალდებული ბ. გ. გადაყვანილია პოლიციაში დასაკითხად“- ამბობდა ჟურნალისტი.

ნენე... ნუთუ ის მზის სხივსაც შეეხო და უპოვა დასაცინი მიზეზი... ჩემო ციმციმა ვარსკვლავო, ნეტა უფრო დაკვირვებული ვყოფილიყავი, ნეტა თავიდანვე მემოქმედა. მე ვარ დამნაშავე...

შეიძლება ნენე ჩემთან აღარ არის, მაგრამ ჩემს გულში ყოველთვის იცხოვრებს გოგონა, რომელმაც ფრენა გადაწყვიტა.“

***

გურამ შინჯიკაშვილი

*VIII კლასი*

## „არა ბულინგს!“

**ადამიანებს,** რომლებიც სხვას დასცინიან და თავს სხვაზე მაღლა აყენებენ, არასდროს ვაჩუქებ სითბოს, რადგან მათ ისედაც ექნებათ საკმარისი სითბო, სითბო კი არა, სიცხე „ეშმაკის ქვაბში“ და თავიანთ ცოდვებში მოიხარშებიან. საინტერესოა, მაშინაც ექნებათ სახეზე ის გულისამრევი ღიმილი, რომელიც მთელი ცხოვრება ამახინჯებდა მათს სულს? მე ასეთ ხალხს არასდროს შევხედავ ისე, როგორც ადამიანს; არასდროს ვიგრძნობ სიბრაზეს მათ მიმართ, მე ისინი შემეცოდებიან. ისინი არიან არსებები, რომლებსაც დამოუკიდებლად ცხოვრება არ შეუძლიათ თუ ვინმე მხრებზე არ დადგნენ და ასე არ მოიპოვეს სახელი. ისინი ადამიანები კი არა, პარაზიტები არიან, რომელთაც სხვათა სისუსტე სწყურიათ, ასეთებს სულში უძვრებიან, ჭამენ ნელ-ნელა და ტოვებენ მათგან აჩრდილებს.

რა მოხდება, თუ გარშემო ყველა ადამიანი სულიერად ძლიერი იქნება? მაშინ ვერავის დასცინებენ. ასეთ შემთხვევაში მჩაგვრელი ნარკომანივით ხდება, რომელსაც დიდი ხანია არ მიუღია ნარკოტიკი. ის გიჟდება, მისი სული იწვის, იწვის, შემდეგ კი ფერფლად იქცევა და გახდება ისეთივე სუსტი, როგორსაც ერთ დროს თვითონვე დასცინოდა. ეს გზა მან აირჩია, გზა, რომელზედაც სითბოსა და სიყვარულის ნაცვლად ზიზღსა და ეგოისტობას აფრქვევდა.

არ ვიცი რას გრძნობ, უსუსურო არსებავ. მსხვერპლის გარეშე, მაგრამ მე შენ არ მეცოდები!

***

მარი მოსიავა

*XII კლასი*

## „ლილე“

**„...საღამოს** ჩხუბიც დაიწყო. გოგონას თვალები ეხუჭება. მშობლების ყვირილი აშინებს და საბნის ქვეშ უფრო იკუნტება. ბოლოს ყვირილი აღარ ესმის, დედა მამას უცნაურ სიტყვაზე, განქორწინებაზე ესაუბრება.

- ლილე ვისთან დარჩება? - კითხულობს მამა.

- რა თქმა უნდა, ჩემთან. შენსავით უსაქმური და ლოთი მამა არ სჭირდება!

ამის შემდეგ კვლავ ჩხუბს იწყებენ. ლილე მათ აღარ უსმენს, მხოლოდ მათ უცნაურ დიალოგზე ფიქრობს.

„ლილე ვისთან დარჩება?“. ლილეს არ უნდა არც მამის და არც დედის მიტოვება. მას ოჯახი უნდა. ლილეს მამაც უყვარს და დედაც. მას კვლავ აქვს იმედი, რომ შეუძლიათ ისევ მოსიყვარულე ოჯახი გახდნენ. რა საჭიროა განქორწინება? მამას ისევ შეუძლია სამსახურის შოვნა. დედასაც შეუძლია ისევ უყვარდეს მამა. ისევ შეუძლიათ ერთად მიუსხდნენ ხის მაგიდას და შაბათ-კვირა დაგეგმონ ოჯახური სიამტკბილობისათვის. ლილე ისევ კარგი მოსწავლე გახდება, დედა ისევ გემრიელ კერძებს გააკეთებს, მამაც ისევ მოსიყვარულე და თბილი იქნება.

ამ დროს საშინელი ყვირილი ისმის. გოგონა ოცნებებიდან ერკვევა და მწარე რეალობის პირისპირ მარტო რჩება. საბნის ქვეშ იკუნტება, თვალებს ხუჭავს და გრძნობს, როგორ უსველებენ ცრემლები პატარა ლოყებს.“

რედაქტორის მინაწერი:

ცოტა მეგულება **„თამარიონის“** სადარი კერძო სკოლა, სადაც ასე ძალუმად ჩქეფს სასწავლო აღმზრდელობითი და შემოქმედებითი საქმიანობა, სადაც საინტერესო პროექტები ევროსტანდარტების დონეზე ხორციელდება. ერუდირებული დირექტორი **გულნარა კვიციანის** ხელმძღვანელობით ყველა პედაგოგს კარგად ესმის, რომ მოსწავლეთა აქტივობა-ჩართულობები შემოქმედებით ღონისძიებებში სწავლა-აღზრდის ხარისხის გაუმჯობესების წისქვილზე ასხამს წყალს.

აქ წარმოდგენილი მოსწავლეთა ჩანახატები, პატარა ნოველების დონეზე მაღლდება. დიდი მადლობა კათედრების წევრებს, გამოცდილ პედაგოგებს: **ნინო განდელიძეს, თათია გურგენიძეს, ფიქრია ტაბატაძეს, ხ. კაშიას, ნ. ცერცვაძეს, შ. გავაშელიშვილს** და სხვებს მოსწავლეებთან თავდადებული მუშაობისათვის, მათი შემოქმედებითი ნიჭისა და უნარების განვითარებისათვის. დავესესხები შოთა ნიშნიანიძეს: „აი, ასეთი, აი, ასეთი, აი, ასეთი მწამს კერძო სკოლა.“ **„თამარიონის“** პედაგოგთა მუშაობა, როგორც მოწინავე გამოცდილება, განზოგადების ღირსია.

ახალ გამარჯვებებს გისურვებთ, **„თამარიონელებო!“**

179-ე სკოლაში სიახლეებს საქმით ეხმაურებიან

# პედკოლექტივი ძლიერია? - დირექტორი ბედნიერია!



**აქსიომაა:** ის სკოლაა მოწინავე და გამარჯვებული, სადაც ძლიერი, ერუდირებული პედაგოგები მოღვაწეობენ. ასეთი მასწავლებლები მუშაობენ თბილისის 179-ე სკოლაში. ბედნიერია გამოცდილი, ენერგიული სკოლის დირექტორი **ხათუნა ნებიერიძე,** რადგანაც მის საქმიანობას სასურველი შედეგები მოაქვს. სკოლა მტკიცედ დგას ევროსტანდარტების რელსებზე. პედაგოგები ყველა სიახლეებს საქმით პასუხობენ. სასწავლო-შემოქმედებით ღონისძიებებში მოსწავლეთა ჩართულობა-აქტივობები მაღალია. ყველა მასწავლებელს კარგად ესმის, რომ ეს ვითარება დიდად უწყობს ხელს სწავლა-აღზრდის ხარისხის გაუმჯობესებას და მაღალი შედეგებისკენ არის ორიენტირებული. შარშანაც გავაშუქეთ ამ სკოლის ცხოვრება და მიხარია, რომ წელს უფრო გაზრდილან, სიახლეებს თამამად ნერგავენ.

ნათქვამია: მოსმენილს დანახული სჯობსო, კონკრეტიკა ზოგად მსჯელობაზე უკეთესიაო. თუ ასეა, გადავიდეთ საქმეზე.

* * *

სამგორის რაიონში ერთ-ერთი ყველაზე დიდი სკოლაა. მალე 35 წლისა გახდება.

სკოლის დირექტორი ქალბატონი **ხათუნა ნებიერიძე,** მოადგილეები - **ნინო ბერიძე, სვეტლანა ალოიანი და რუსუდან გორდელაძე**, ბუღალტერი **ნათელა აფციაური**, მნე **შოთა ჯაგაშვილი**, საინფორმაციო მენეჯერი **ზოია მათეშვილი**, აიტი **ლევან მგელაძე** და სხვები ძალ-ღონეს არ იშურებენ მაღალი შედეგების მისაღწევად.

ქალბატონი ხათუნა ნებიერიძე 2007-2011 სასწავლო წლებში იყო N130 საჯარო სკოლის დირექტორი, ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.მესამე წელია იგი უნარიანად უძღვება სკოლის მართვას და სწორი მენეჯმენტით შეძლო სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა 745-დან 1310-მდე გაეზრდა. 2019-2020 სასწავლო წელს გაიხსნა ექვსი პირველი კლასი.

სამეურვეო საბჭო **ქეთევან გრძელიშვილის** თავმჯდომარეობით და შემდეგი წევრების: **ლალი ძამიაშვილი** (მდივანი); **ხათუნა დვალიშვილი** (პედაგოგი); **მთვარისა წიკლაური** (პედაგოგი); **ბაბულია ბარბაქაძე** (პედაგოგი); **ნათელა ჯავახიშვილი** (პედაგოგი); **ირმა აბრამაშვილი** (პედაგოგი); **ლია უძილაური** (მშობელი II საფეხური); **მაია შავაძე** (მშობელი III საფეხური); **ვიოლეტა ეხვაია** (მშობელი II საფეხური); **იანა სადიევა** (მშობელი I საფეხური); **მარიამ ჭკუასელი** (მოსწავლე XII კლ) შემადგენლობით აქტიურად მონაწილეობს სასკოლო ცხოვრებაში.

მთავარი ხომ მაინც პედაგოგიური კადრებია.

**სულ 70 პედაგოგია, აქედან 54 სერთიფიცირებულია,**

წამყვანია **ვაჟა ორველაშვილი.**

უფროსი პედაგოგები არიან: **ლია აბაშიძე, რუსუდან აკობიძე, მაია ახალაია, ბაბულია ბარბაქაძე, მაგდა ბენიძე, ნინო ბერიძე, მაია ბურდული, იზა გაბუნია, ელენე გოგოლაშვილი, ეთერ გონაშვილი, მარინე გონაშვილი, რუსუდან გორდელაძე, მეგი გძელიძე, ხათუნა დვალიშვილი, მზია ელიაძე, ეკატერინე კალიჯიშვილი, ოლღა კვეზერელი,**



**თინათინ კონსტანტინიდი, ზოია მათეშვილი, მაია მაჭარაშვილი, მარინა მეკარიშვილი, მარინე მინდიაშვილი, თამარ ნანდოშვილი, ხათუნა ნებიერიძე, მზია ოსიაშვილი, ლანა პაპუნაშვილი, მზალო საყურაშვილი, ნინო სახელაშვილი, დარეჯან სუთიძე, თინა სუხაშვილი, მარიამ ტურაშვილი, თეონა უთნელიშვილი, ეკა ფირანიშვილი, ია ყანდაშვილი, ანა შეყლაშვილი, იზოლდა შუხოშვილი, ნაირა ჩანქსელიანი, დოდო ჩუბინიძე, ლია ცუხიშვილი, ლალი ძამიაშვილი, მთვარისა წიკლაური, სოფიო ჭარბაძე, მანანა ჭონიაშვილი, მარინა ჭუმბურიძე, ირმა ხატიაშვილი, ნანა ხატიური, ლიანა ხვთისიაშვილი, მაკა ჯავახიშვილი, ნათელა ჯავახიშვილი, ნანი ჯანაშვილი.**

მათემატიკის ენით თუ ვიტყვით, კათედრების მოქნილი მუშაობა პირდაპირპროპორციულია მაღალი შედეგებისა. სულ 7 კათედრაა, ყველა კათედრა თავის საგნის მეთოდოლოგიაში ჯგუფურ-ინდივიდუალურ და სხვადასხვა პროექტებზე მუშაობენ. ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს და ორიენტირებულები არიან ცოდნის ხარისხზე. საგნობრივ კათედრებს ნაყოფიერად ხელმძღვანელობენ: ქართული ენა და ლიტერატურისას- **ლიანა ხვთისიაშვილი,** მათემატიკისას - **მარიამ ტურაშვილი**, საზოგადოებრივი მეცნიერებებისას - **ლია აბაშიძე,** უცხო ენებისას - **სალომე ვაიტაძე,** საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისას - **ნანა ხატიური,** დაწყებითისას - **ია ყანდაშვილი**, ესთეტიკის კათედრას - **მაია ტურაშვილი**

სკოლა ცდილობს საზოგადოებასთან შეთანხმებით აღზარდოს ისეთი მომავალი თაობა, რომლის ცოდნა იქნება მყარი, დინამიური, კონკურენტუნარიანი და შეძლებს თავისი ცოდნის რეალიზაციას, შეეცდება, სათანადო ადგილი დაიკავოს საერთაშორისო საზოგადოებაში, საკუთარი ქვეყნის განვითარებასა და გაძლიერებაში.

სკოლაში სწავლება წარმოებს ესგ მოთხოვნების შესაბამისად ,ყველა ბავშვს აქვს საკუთარი პოტენციალის სრულად გამოვლენის და აკადემიური წარმატების შესაძლებლობა.

მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა კონკურსებში, საიდანაც გამარჯვებულები ბრუნდებიან დიპლომებით და სიგელებით ხელდამშვენებულნი.



ყოველწლიურად ხელოვნების პედაგოგ **იზა გაბუნიას** ხელმძღვანელობით აქტიურად მონაწილეობენ რბილი სათამაშოების კონკურსში 6-7 კლასის მოსწავლეები, ისინი ჯილდოვდებიან სხვადასხვა სახის



დიპლომებით.

სკოლა აქტიურ მონაწილეობას იღებს ასევე **კინგსის, ევერესტის, სმარტის** კონკურსებში.

აქაც გვყავს გამარჯვებულები.

ნაყოფიერად ფუნქციონირებს ხალხური ცეკვის სტუდია **მამუკა ცერცვაძის** ხელმძღვანელობით.

პოპულარობით სარგებლობს ჭადრაკის წრე -ხელმძღვანელი **დარეჯან ჩაკვეტაძე.** გამაჯანსაღებელი ტანვარჯიშის და კარატეს წრეები.

ფუნქციონირებს გახანგრძლივებული ჯგუფები.

სკოლის ბიბლიოთეკარი **ზეინარ ჯაჭვლიანი** ბევრს მუშაობს ბავშვებთან. კომპიუტერის ბუმის პირობებში ეს რთულია, მაგრამ მაინც აყვარებს წიგნს, აჩვევს კითხვას. ბიბლიოთეკაში არის მეთოდური და მხატვრული ლიტერატურა, სადაც მოსწავლეები აქტიურად კითხულობენ მხატვრულ ლიტერატურას, აწყობენ საინტერესო ღონისძიებებს.

გალაკტიონი ხშირად იტყოდა: კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაულეველიო. დიახ,ჩვენც ბევრი კარგი კარგი რამ დაგვრჩა უთქმელი, რაც სკოლის ცხოვრებას ახალისებს და ამშვენებს. შემდეგისთვის იყოს!

ახალ წარმატებებს გისურვებთ, 179-ე სკოლელებო!

ბორის მიშველაძე,

*საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.*

**P. S.** რედაქტორის მინაწერი:

ჩიტმა ამბავი მოგვიტანა, სკოლის დირექტორი **ხათუნა ნებიერიძე** დოქტორანტი გახდა. რედაქციის სახელით ვულოცავთ! მალე მოგველოცოს მისთვის სადოქტორო დისერტაციის დაცვა. იმრავლონ ასეთმა დირექტორებმა საქართველოს სკოლებში!

საქმემან შენმან...

# ამისთვის იღვწის 119-ე სკოლის კოლექტივი



**თბილისის** 119-ე საჯარო სკოლა უსახელო მთისა და ბორცვის თავზე დგას და რაოდენ სასიამოვნოა, რომ გეოგრაფიულ სიმაღლეს სასწავლო პროცესის სიმაღლე შეესატყვისება: შარშან 9 ოქროსა და ერთი ვერცხლის მედალოსანი ჰყავდათ. ასეთი მაღალი შედეგი უფრო თვალსაჩინო იქნება თუ ვიტყვით, რომ სკოლაში სულ 411 მოსწავლეა. პროცენტულობაზე რომ გადავიყვანოთ, ბევრი სკოლა დაიკვეხნის ასეთ შედეგს? კლასებში 25-25 მოსწავლეა. ეს შედარები უადვილებს მასწავლებლებს მათთან ინდივიდუალურ მუშაობასაც, მაგრამ უმთავრესი ხომ მაინც პედაგოგთა ცოდნა, გამოცდილება და მონდომებაა, რის დიდებულ შედეგზეც ითქვა? სასწავლო პროცესი თითოეულ მოსწავლეს მოიცავს, მასწავლებლებს ყოველ აღსაზრდელამდე მიაქვთ ცოდნა.

სკოლის განვითარების საფუძველი კათედრებზე გაწეული მუშაობაა, რაც ყველა პადაგოგს მოიცავს. დროულად შემუშავდა მუშაობის პრიორიტეტული მიმართულებები: საგნობრივ ჯგუფებში შემავალი საგნების სწავლების კოორდინირება; ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება; პროფესიული განვითარების გზების დასახვა.

მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულნი განვითარების სქემაში და განუხრელად ზრუნავენ თვითგანვითარებისთვის. ადმინისტრაცია ყოველმხრივ უწყობს ხელს




პედაგოგთა პროფესიონალურ ზრდასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

სკოლა, მშობლებთან ერთად, ზრუნავს ყმაწვილებისთვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად. მშობლები მუდმივად ინფორმირებულნი არიან შვილების სწავლისა და ყოფაქცევის შესახებ.

ეროვნული სასწავლო გეგმა ყველა სკოლისათვის საერთოა და სწორედ აქ არის „ჩამარხული ძაღლის თავი“: როგორ ასრულებ ამ გეგმას? ტრაფარეტულად მიჰყვები, თუ შემოქმედებითად უდგები, ცდილობ, შენი, ინდივიდუალური ყმაწვილებისათვის სასიკეთო რამ შეიტანო მასში?

119-ე სკოლის შემოქმედებითი კოლექტივი განუხრელად ეძიებს და ჰპოვებს კიდეც სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ახალ-ახალ მიგნებებით შევსების გზებსა და საშუალებებს; მოსწავლეთა ინდივიდუალობების გათვალისწინებით ნერგავს სიახლეებს, რაც აქაურ მასწავლებელთა ხელწერაა. სწორედ ეს განაპირობებს პროგრესს.

წლების მანძილზე გვიჭედავდნენ თავში, ისტორიის მამოძრავებელი ძალა მასააო. კი, „რაღაცას ფაფხურობდნენ“ პიროვნებები, მაგრამ ისტორიის წარმართველი ძალა მასაა და მასაო. არადა, ისტორია სწორედ საპირისპიროს გვამცნობს.

119-ე სკოლას უნარიანად ხელმძღვანელობს ბატონი **პაატა რაზმაძე**. მან 1995 წელს დაამთავრა დედაუნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი (მეორადი – სამართალმცოდნეობისა). განათლების სისტემაში 1998 წლიდანაა: მუშაობდა 48-ე სკოლის ისტორიის მასწავლებლად, ორგანიზატორად, დირექტორის მოადგილედ აღმზრდელობით დარგში, 2009 წლიდან კი დირექტორია. ანუ, სკოლის ყველა საფეხური გაიარა და ამიტომ არა ოდენ „კაპიტნის ხიდურიდან“ უძღვება ამ სასწავლო დაწესებულებას, არამედ – კოლეგიალურად, უპირველესად, პედაგოგია, ვისაც მეტი პასუხისმგებლობა აკისრია, ვიდრე – კოლეგებს.

უნარიანად მუშაობს კოლექტივთან მისი მოადგოლე, ქალბატონი **თეა ბრეგვაძე**.

სკოლა ცდილობს თვალსაწიერი გაუფართოოს აღსაზრდელებს. აუცილებელ, სავალდებულოს მიღმა ცოდნით გაამდიდროს ყმაწვილები.

ამის ერთი დასტური გლდანის რაიონის სკოლებს შორის გამართულ შემეცნებით კონკურსს „რა, სად, როდისში“ გამარჯვებაა. არადა, მასში 27 სკოლა მონაწილეობდა. პროექტ „ყველაზე წიგნიერის“ ფარგლებში, გუნდებად დაყოფილ ყმაწვილებს, ასაკის შესატყვისად, ყოველწლიურად ურიგდებათ წიგნები. წაკითხვის შემდეგ ერთგვარი კონკურს-მსჯელობა იმართება. VI კლასის მოსწავლე **თორნიკე ხოკერაშვილი** კი კინგსის ინგლისური ენის რესპუბლიკური კონკურსის გამარჯვებულია.




„გაახარე ხე და ხე გაგახარებს შენ“: ამ ლოზუნგით დაირგო მრავალი ნერგი. ყმაწვილები უვლიან ნარგავებს. დიდად სავარაუდოა, ასე ისწავლონ გარემოს მოფრთხილება და შვილებიც ასევე აღზარდონ.

სკოლამ ძირითად სახელმძღვანელოდ გოგებაშვილის „დედა ენა“ აირჩია, რაც ცხადლივ მიგვანიშნებს, როგორი სულისკვეთებით ზრდიან ყმაწვილებს. ამასვე ცხადყოფს მოსწავლეთა მიერ შექმნილი რიწის ტბისა და შავი ზღვის სათანადო სანაპირო ზოლის ამსახველი სტენდი სათაურით – „მაინც დავბრუნდებით!“

დიახ, დავბრუნდებით, აუცილებლად დავბრუნდებით აფხაზეთსა და შიდა ქართლში, აუცილებლად გამთლიანდება, აღდგება საქართველო და ამას მცოდნე, სამშობლოს მოყვარული თაობები სჭირდება, ვისი აღზრდისათვისაც იღწვის 119-ე საჯარო სკოლის მთელი კოლექტივი.

კოტე ოდიშელიძე

საზღვარგარეთული სიბრძნე, ანუ

# შეგონებანი მშობლებს

## ეს ტექსტი პორტუგალიის რამდენიმე სკოლაში გამოაკრეს

**საყვარელო მშობლებო!**

**- ჩვენ გვინდა თქვენ შეგახსენოთ, რომ ჯადოსნური სიტყვები, როგორებიცაა: გამარჯობა, მადლობა, არაფრის და ბოდიში, პირველ რიგში, სახლში უნდა ისწავლებოდეს.**

**- ბავშვებმა სახლში უნდა ისწავლონ აგრეთვე, რომ ადამიანი გულწრფელი, პუნქტუალური, ბეჯითი უნდა იყოს, რომ მეგობრებისადმი და მოხუცი და უფროსი ადამიანებისადმი თანაგრძნობა უნდა ჰქონდეს, რომ მასწავლებლის მიმართ რიდი და პატივისცემა უნდა ჰქონდეს.**

**-სახლში სწავლობს ადამიანი, რას ნიშნავს სისუფთავე და სხეულის ჰიგიენა, რომ ადამიანმა საჭმლით სავსე პირით არ უნდა ილაპარაკოს და სად და როგორ უნდა გადააგდოს ნაგავი.**

**- სახლში სწავლობს ადამიანი: წესრიგს, საკუთარ და სხვისი ნივთების მოვლას და რომ არ შეიძლება სხვა ადამიანებზე ხელის შეხება.**

**- სამაგიეროდ სკოლაში ვასწავლით მშობლიურ და უცხო ენებს, მათემატიკას, ისტორიას, გეოგრაფიას, ფიზიკას, სხვა და სხვა მეცნიერებას და სპორტს. სკოლაში მასწავლებლები აღზრდას ვავრცობთ, იმ აღზრდას რომელიც წესით ბავშვმა საკუთარი მშობლებისგან უნდა მიიღოს.**

პროფესიული განათლება

# პროფესიულ განათლებაში ზოგადსაგანმანათლებლო კომპონენტის დანერგვა იწყება

მიმდინარე წლის გაზაფხულზე, პროფესიული განათლების სისტემა პირველად მიიღებს სტუდენტებს, რომლებსაც პროფესიის შესწავლის პარალელურად, ზოგად განათლებასაც შესთავაზებს.

ქობულეთის კოლეჯში „ახალი ტალღა“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე, თამარ ქიტიაშვილი, ინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში შერჩეულ მომავალ პედაგოგებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს შეხვდა და ახალი პროგრამის მიზნებსა და შესაძლებლობებზე ესაუბრა.

ბოლო 15 წლის განმავლობაში სავალდებულო საბაზო განათლების (9 კლასი) დასრულების შემდეგ, მოზარდებს ორი არჩევანი ჰქონდათ – სწავლა გაეგრძელებინათ საშუალო საფეხურზე, ან პროფესიული განათლების მიმართულებით. ახალი პროგრამის ფარგლებში კი, იქმნება შესაძლებლობა, საბაზო განათლების მქონე სტუდენტებმა პროფესიული და ზოგადი განათლება ინტეგრირებულად მიიღონ. ამგვარი პროგრამების ხანგრძლივობა 3 წელი იქნება და კურსდამთავრებულები სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომებს მიიღებენ, ხოლო სურვილის შემთხვევაში, სწავლას უმაღლესი განათლების საფეხურზე გააგრძელებენ.

ინტეგრირებული პროგრამების განხორციელებას, 2020 წლის საგაზაფხულო მიღების ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით ექვსი პროფესიული კოლეჯი დაიწყებს, მათ შორისაა ქობულეთის კოლეჯი „ახალი ტალღა“.

განათლების სამინისტრო, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, ასრულებს ინიციატივის დანერგვისთვის საჭირო მოსამზადებელ ფაზას, რომელიც 2016 წლიდან მიმდინარეობს და რომლის ნაწილია ინტეგრირებული პროგრამების სწავლების მიზნით შერჩეული მასწავლებლების ტრენინგი. პირველი ტრენინგი კოლეჯში „ახალი ტალღა“ გაიმართა.

თებერვალსა და მარტში, რამდენიმე ეტაპიან ტრენინგს 100-ზე მეტი კანდიდატი გაივლის. ინტეგრირებული პროგრამების მასშტაბის გაზრდის მიზნით კი, დაგეგმილია კოლეჯების შემდგომი მხარდაჭერის ღონისძიებები.

მე-8 სკოლის სტუმრები ვართ

# დიდი დირექტორის ტრადიციებს აგრძელებენ

**სსიპ** აკაკი კივილაძის სახელობის ქალაქ თბილისის მე-8 საჯარო სკოლის ისტორია საუკუნეზე მეტს ითვლის. სხვადასხვა დროს ის იწოდებოდა როგორც ბილანიშვილების, 45-ე ქალთა, ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის სკოლად. თბილისში 1973 წლიდან არაოფიციალურად მოიხსენიებდნენ „კივილაძის“ სკოლად, ხოლო 2015 წლიდან კი „სსიპ აკაკი კივილაძის სახელობის ქალაქ თბილისის მე-8 საჯარო სკოლის“ სახელს სიამაყით ატარებს.

2014 წლის სექტემბრიდან სკოლას ხელმძღვანელობს და სკოლის მდიდარ ტრადიციას ღირსეულად აგრძელებს სკოლის ახალგაზრდა დირექტორი ქალბატონი **თეონა მაისურაძე.** სკოლის დირექტორის მოადგილე წლების მანძილზე არის გამოცდილი პედაგოგი ქალბატონი **როზა დაბახიშვილი.**

სკოლის დირექციის, პედაგოგიური კოლექტივის, ადმინისტრაციის (**ნაზო წიკლაური, მარინე უხურგუნაშვილი, ქეთევან გოგილიძე, მაკა გველეთიანი, თამარ კუსიანი**) და შტატგარეშე თანამშრომლების კოორდინირებული მუშაობა სრულად ეფუძნება XXI საუკუნის წინაშე არსებულ საგანმანათლებლო გამოწვევებს.

მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე სკოლის პედაგოგიური კოლექტივი კოორდინირებულად მუშაობს. თითოეული კათედრის მუშაობა დაგეგმილია ინოვაციური მეთოდებით, ახალი მედიატექნოლოგიებით. მათ მუშაობას განსაკუთრებით ეფექტურს ხდის ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული საქმიანობა.

პედაგოგიური კოლექტივის მიზანია მუშაობის წარმართვა მოსწავლის შესაძლებლობისა და ინტერესის შესაბამისად, მათი მოტივაციის ამაღლებასა და სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობაზე ზრუნვა. მშობლებთან აქტიური თანამშრომლობა სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა, რაც ერთიანობაში ქმნის თანამედროვე წარმატებული სკოლის მოდელს.

ყოველი ზემოთქმულის გათვალისწინებით სკოლა ძველ გამოცდილებაზე დაყრდნობით ამკვიდრებს ახალ ტრადიციებს და ამის შესახებ სკოლაში სიამაყით საუბრობენ მოსწავლეები, მშობლები, პედაგოგები...

შემოქმედებითი მუშაობის ერთგვარი გამოვლენაა 2017 წლიდან სკოლის დირექტორის **თეონა მაისურაძის** ინიციატივით დამკვიდრებული არაერთი ტრადიცია მათ შორის **წიგნის ჩუქების დღე** (სასწავლო წლის II სემესტრის პირველი სასწავლო დღე) **და „მიწერე წერილი პირველკლასელს“.** აღნიშნული პროექტების მიზანია მოსწავლეთა და მასწავლებელთა, მასწავლებელთა და მშობელთა, მშობელთა და მოსწავლეთა შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.



2019 წელს განხორციელდა პროექტი **„დარგე შენი კლასის ხე“,** რომლის შედეგად მოსწავლეებმა არსებული გლობალური პრობლემების წინაშე საკუთარი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გააცნობიერეს; გაიღრმავეს ცოდნა გარემოსდაცვით საკითხებზე, იზრუნეს გარემოს მდგრად განვითარებაზე; ხელი შეუწყეს ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნას თემში, ქალაქში, ქვეყანაში; ამაღლდა მშობელთა ჩართულობა; დამკვიდრდა სკოლასა და კურსდამთავრებულებს შორის უწყვეტი კომუნიკაცია.

სწორედ ამ იდეის გაგრძელება იყო, პროექტი **„ნიკო კეცხოველის პრემია 2019“.** სადაც აქტიურად ჩაერთო სსიპ აკაკი კივილაძის სახელობის თბილისის მე-8 საჯარო სკოლის XI[ა] კლასის მოსწავლეები, რომლებიც გაეცნენ მდგრადი განვითარების მიზნებს და განახორციელეს აღნიშნულ მიზნებზე მორგებული სხვადასხვა აქტივობები, რის შედეგადაც დააგროვეს ქულები და მოხვდნენ „ნიკო კეცხოველის პრემია 2019-ის” ნახევარფინალში. პროექტს ხელმძღვანელობდა გეოგრაფიის მასწავლებელი **ლიკა ხანდოლიშვილი.**

წლის განმავლობაში სკოლაში განსაკუთრებული აქტიურობითა და ხალისით იგეგმება მრავალფერო-






ვან თემატიკაზე ჩატარებული კვირეულები; კვირეულის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა აქტივობა: გასვლითი გაკვეთილები, ვიდეოაუდიო პრეზენტაციები, ხელნაწერი წიგნები, მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენები, ექსკურსიები, დოკუმენტურ-შემეცნებითი ფილმების ნახვა-განხილვები, შეხვედრები მოწვეულ სტუმრებთან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კვირეულები შემდეგი თემატიკით:

❖ ქართული სამედიცინო სკოლა (ხელმძღვანელი - **ქეთევან ხელაძე**)

❖ **გრიბოედოვი** - ლეგენდად ქცეული სიყვარული (ხელმძღვანელი - **რუზანა კაპანაძე, ელიზავეტა გორგოძე, ციალა ღვინიანიძე**).

❖ **ივანე მაჩაბელი** (ხელმძღვანელი - **ციცინო მაჩაიძე, მზია ქორიძე**).

❖ ქართველი მთარგმნელები -(ხელმძღვანელი - **ლიანა კოპალიანი, მარინე კიკნაძე, კონა ქვირია, მანანა გოგოლაძე, ნათია მგალობლიშვილი**).

❖ ქართული გრამატიკა (ხელმძღვანელი - **როზა დაბახიშვილი, იზოლდა აბაშიძე, ნინო ტოკლიკიშვილი**)

❖ ქართული მათემატიკური სკოლა (ხელმძღვანელი - **თამარი მაისურაძე, ლალი კიკნაძე, იზოლდა ბექაური, ნანა ჩუთლაშვილი, რუსუდან სალუქვაძე, ვენერა აკოლაშვილი**)

❖ ქართველი საბავშვო მწერლები - (ხელმძღვანელი - **მაყვალა ლომაური, მერი ყაველაშვილი, ნათია გაბინაშვილი, ეკატერინე ნადირაძე**).

❖ ქართველი საბავშვო მწერლები (ხელმძღვანელი - **ნათელა დობორჯგინიძე, ნარგიზი ლოლაძე**).

❖ მუსიკოსები - **ჯანსულ კახიძე** და **ანზორ ერქომაიშვილი** - (ხელმძღვანელი - **მზია ხატიაშვილი, ნანა გურგენიძე, ცისმარ მექვაბიშვილი**)

❖ ქართველი საბავშვო მწერალი - **ნათია აბულაძე** (ხელმძღვანელი - **მაია ოდიკაძე, ნინო სხირტლაძე, ლალი გოცაძე**)

❖ ქართველი ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონები (ხელმძღვანელი - **მამუკა მაღლაკელიძე, ლევან მისირელი**)

❖ ქართველი ბატონიშვილები და **ვახუშტი ბაგრატიონი** (ხელმძღვანელი - **ლუიზა მაისურაძე, მაყვალა ნანობაშვილი, ლიანა ხანდოლიშვილი**)

❖ თანამედროვე ქართული მხატვრობა - **რუსუდან ფეტვიაშვილი, ნინო ჩაკვეტაძე** (ხელმძღვანელი - **მაია პატარქალაშვილი, დოდო გაბესკირია**).

❖ **ოთარ** და **დავით ლორთქიფანიძეები** (ხელმძღვანელი - **მარინა გოდერძიშვილი, ნათია შათირიშვილი**)

❖ ქართული მულტფილმი, ქართული კინო (ხელმძღვანელი - **დარეჯან ჯოჯუა, ლალი პაპოშვილი, თინათინ გოგოლაძე, თამარ გობეჯიშვილი, მაია გოგავა**).

❖ საბავშვო მწერლები - **გივი ჭიჭინაძე** და **მაყვალა მრევლიშვილი** (ხელმძღვანელი - **ია მოდებაძე, მარიამ კახაძე, ლალი ლომინეიშვილი**).

❖ ქართველი ქიმიკოსები და ფიზიკოსები (ხელმძღვანელი - **მარინე მენთეშაშვილი, ნორა კერესელიძე**)

❖ **ექვთიმე თაყაიშვილი** - საზოგადო მოღვაწე და წმინდანი (ხელმძღვანელი - **თეონა მაისურაძე**).

❖ ვაზის და ჩაის ქართული ჯიშები (ხელმძღვანელი - **ნინო თაველიძე, ლიანა ხანდოლიშვილი, მაია ოდიკაძე**).

სკოლაში ნამდვილი შემოქმედებითი სახელოსნო „ფუნქციონირებს“ კათედრის ყველა წევრი ერთსულოვნად ზრუნავს მოსწავლეთა ესთეტიურ აღზრდაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია პედაგოგებისა და ბავშვების მუშაობა. მასშტაბური ღონისძიებები მიეძღვნა ქართველ მუსიკოსებს: **ჯანსულ კახიძეს** და **ანზორ ერქომაიშვილს** (ხელმძღვანელები: **მზია ხატიაშვილი, ნანა გურგენიძე** და **ცისმარ მექვაბიშვილი**). უფროსი კლასის მოსწავლეებმა **ჯანსულ კახიძისა** და **ანზორ ერქომაიშვილის** ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ცნობები ყველა კლასის მოსწავლეებს გააცნეს. ასევე ბავშვებმა მოისმინეს **ჯანსურ კახიძის** მიერ შექმნილი მუსიკა კინოსთვის და ქართული ხალხური სიმღერები.

კვირის მანძილზე ნამდვილ დღესასწაულად იქცა თანამედროვე ქართველი მხატვრების **ნინო ჩაკვეტაძისა** და **რუსუდან ფეტვიაშვილისადმი** მიძღვნილი ხელოვნების სასკოლო კვირეული (ხელმძღვანელები - **მაია პატარქალაშვილი, დოდო გაბესკირია**).





განსაკუთრებით აღსანიშნავია სკოლის ეზოში გაცოცხლებული კადრები ქართული ფილმებიდან, ქართული კინოს ვარსკვლავების ფოტოები სკოლის ფოიეში, ირგვლივ კი ქართული კინომუსიკის შესანიშნავი ჰანგები... ასე დაიწყო 2019 წლის 13 მაისის გაკვეთილები აკაკი კივილაძის სახელობის თბილისის მე-8 საჯარო სკოლამ, რომელმაც მნახველი აღფრთოვანა (ხელმძღვანელები - **მაია გოგავა, თამარ გობეჯიშვილი**).



2019 წლის 16 აპრილს სსიპ აკაკი კივილაძის სახელობის ქალაქ თბილისის მე-8 საჯარო სკოლაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერების: **მერაბ კოსტავასა** და **ზვიად გამსახურდიას** ცხოვრება და მოღვაწეობა გაიხსენეს. ეს დღე 9 აპრილისადმი მიძღვნილი კვირეულის ერთგვარი გაგრძელება იყო. პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი სკოლის დირექტორი, სამოქალაქო განათლების პედაგოგი **თეონა მაისურაძე** გახლდათ.



სკოლა ყოველთვის აღნიშნავს სახელმწიფოებრივ მნიშვნელოვან დღესასწაულებსა (9 აპრილი, 14 აპრილი, 26 მაისი) და ქართველი მოღვაწეების საიუბილეო თარიღებს **(ილია ჭავჭავაძე - 180, შოთა რუსთაველი - 850, გიორგი ლეონიძე - 120**). დაუვიწყარია **გოდერძი ჩოხელის** შემოქმედებისადმი მიძღვნილი სასკოლო ღონისძიება და **გოდერძი ჩოხელის** ოჯახის სასიხარულო მიწვევა ჩოხში მწერლის სახლ-მუზეუმის გახსნის ცერემონიალზე (ხელმძღვანელი **თამარ გობეჯიშვილი**).

სკოლაში წარმატებით ფუნქციონირებს განახლებული ბიბლიოთეკა. სადაც, ბიბლიოთეკარის

**მაკა გველეთიანის** განსაკუთრებული ჩართულობით იგეგმება და საინტერესოდ ხორციელდება სასკოლო ღონისძიებები.

სკოლა აქტიურად ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, რაც გამოიხატება სასკოლო, რაიონული





და ქალაქის სპორტულ აქტივობებში. სხვადასხვა სპორტულ სახეობაში მიღწეული წარმატებისთვის არაერთი მოსწავლე დაჯილდოვდა.

2018 წლის მაისში გლდანი-ნაძალადევის პირველობაზე მე-8 საჯარო სკოლის გოგონათა ნაკრებმა ფრენბურთში მესამე ადგილი მოიპოვა.

2019 წელს კი იმავე ჩემპიონატზე ფინალისტმა გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა.

2019 წელს სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაზე ვაჟ-ფეხბურთელთა გუნდმა საკმაოდ წარმატებულად იასპარეზა. 100-ზე მეტ გუნდთან ჭიდილში მესამე-მეოთხე ადგილები დაიკავეს (ხელმძღვანელი - სპორტის პედაგოგი **ლევან მისირელი**).

2019 წლის სასკოლო სპორტული ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებულ სპორტულ-შემეცნებით ოლიმპიადაზე მერვე სკოლის მოსწავლეთა ნაშრომი **„ქართველი ოლიმპიელი ქალები“** საქართველოს მასშტაბით საუკეთესო სამეულში მოხვდა (ხელმძღვანელი სპორტის პედაგოგი - **მამუკა მაღლაკელიძე**).

სკოლა წლების განმავლობაში ამაყობს თავისი კურსდამთავრებულებით, რომელთა სახელზეც სხვადასხვა უნივერსიტეტიდან მადლობის წერილებს უკვე მერამდენედ იღებს.

ორიოდე სიტყვით გვინდა შევეხოთ რამდენიმე მოსწავლის წარმატებულ საქმიანობას:

**გიორგი გოგავა** - ოქროს მედალოსანი, ამჟერად საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის - არქიტექტურის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი. არაერთ სასკოლო, საქალაქო თუ საერთაშორისო ღონისძიებასა და კონკურსში გამარჯვებული ახალგაზრდა, რომელიც ასევე წარმატებით მონაწილეობდა მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ქანდაკების, ქიმიის, ხატვის, ხაზვის, ისტორიის წრეების საქმიანობაში. მისი ნამუშევრების გამოფენამ მნახველთა დიდი მოწონება დაიმსახურა. გიორგი მონაწილეობდა Erasmus+ გაცვლით პროგრამაში (პოლონეთი). ლიტერატურულ კონკურსში **„გენი ქართული“**, მიღწეული წარმატებისთვის დაიმსახურა პირველი ხარისხის დიპლომი და ფასიანი საჩუქარი (სმარტფონი). იყო საზრიანთა და გონებამახვილთა კლუბის აქტიური წევრი.

**მიხეილ მაღლაფერიძე** - ვერცხლის მედალოსანი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი, 70%-იანი გრანტის მფლობელი, არაერთი ღონისძიების აქტიური მონაწილე, საზრიანთა და გონებამახვილთა კლუბის წამყვანი წევრი, რომელმაც სკოლაში გამომუშავებული წარმატებული სწავლის ჟინი უმაღლეს სასწავლებელშიც გადაიტანა. ის ერთ-ერთია, რომლის სახელზეც დირექციამ და პედაგოგიურმა კოლექტივმა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მაღალი აკადემიური შედეგის მქონე მოსწავლეთა აღზრდისთვის მადლობის წერილი და დიპლომი მიიღო. მე-8 სკოლის კურსდამთავრებული მედალოსანი **ანა თორიაშვილი** ასევე ამ უნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტია.

**ნინო რაზმაძე** - საზრიანთა და გონებამახვილთა კლუბის წამყვანი წევრი, თავისუფალი უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტის 100%-იანი გრანტის მფლობელი, უნიჭიერესი ახალგაზრდა, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა განათლების სამინისტროს სასწავლო-შემოქმედებით ოლიმპიადებში.

სკოლის ინტელექტუალური კლუბი, რომელიც სწორედ ამ კლასის მოსწავლეებით იყო დაკომპლექტებული (მასწავლებელი **მერი ვარდოშვილი**) ნაძალადევის რაიონში პირველ ადგილს ფლობდა. ამ წარმატებისთვის კლუბის ყველა წევრი მაღაზია ბიბლუსის 150-ლარიანი ვაუჩერით დაჯილდოვდა.

II[ბ] კლასის მოსწავლეებმა (კლასის ხელმძღვანელი - **ლალი გოცაძე**) სიურპრიზი გაუკეთეს საყვარელ მამიკოებს და საიდუმლო ბარათებით მოიწვიეს ღონისძიებაზე **„მამაშვილობა დედაშვილობაზე არანაკლები სიყვარულია”**




მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა დიდი პატივისცემითა და სიყვარულით მასპინძლობდა საპატიო სტუმრებს: **ზაზა აბაშიძეს, სერგო ვარდოსანიძეს, გურამ მეგრელიშვილს, ნანა ჯანელიძეს, ნათია აბულაძეს, ერეკლე საღლიანს, ნოდარ მამაცაშვილს**.

**„ქართული პოეზიის მარგალიტები“** - ასე ერქვა 2019 წლის 19 დეკემბრის ღონისძიებას. იგი IV[ა] კლასის მოსწავლეებმა და ხელმძღვანელმა **დარეჯან ჯოჯუამ** სკოლის სააქტო დარბაზში წარმოგვიდგინეს. პატარებმა დიდი პოეტების როლები სცენაზე კარგად მოირგეს და გააცოცხლეს: მხცოვანი **დავით გურამიშვილი, ილია** - შუბლი საქართველოსი, **აკაკი** - გედი და ორფეოსი, **ვაჟა** - ხმაჩანჩქერჩაუქრობელი, **ბარათაშვილი** - აზრთა მფლობელი, **გალაქტიონი** - სიტყვის მპყრობელი და დიდი **შოთა** - მათი მშობელი! მარგალიტებივით იფრქვეოდა სცენიდან სიბრძნეები, რომლებიც გაბნეულია ხალხში: **„ამოუწურავია ქართული პოეზიის ჭა, მხატვრული პოეზიის ოკეანე“.** აკი დიდ ვაჟასაც უთქვამს: **„ჩემისთანები ბაგეზე ასი ათასი აბიაო. ღმერთმა უმრავლოს ვაჟასნაირი პოეტები საქართველოს!“**- ასე დაასრულეს პატარებმა ღონისძიება **გალაქტიონ ტაბიძის „მრავალჟამიერ გუგუნებდეს ხმა“** - სიმღერის ფონზე. სტუმარმა, ქალბატონმა **მზეო გოგოჭურმა** გულთბილად მიმართა პატარებს და წარმატებები უსურვა.

ჩვენი **ხელნაწერი წიგნები** სკოლის ერთგვარი სავიზიტო ბარათია, რომელიც არა მარტო მშობლებისა და მოსწავლეების, არამედ მოწვეული სტუმრების განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს.

სკოლის მუშაობის ერთ ერთი მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული მიმართულებაა ძალადობის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის, დისკრიმინანციის, ბულინგისა და კიბერ ბულინგის პრევენციის მიმართულებით განხორციელებული სხვადასხვა აქტივობა, რომლის დროსაც საინფორმაციო ბუკლეტებით მინისასკოლო ღონისძიებებით, ფილმების ჩვენებით, დისკუსიებით ხდება ინფორმაციის გავრცელება და მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა.

სასკოლო საზოგადოებას განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია, ყოველთვის უპასუხოს განათლების სისტემაში არსებულ გამოწვევებსა და სიახლეებს.

ბორის მიშველაძე
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

პოეტური პალიტრა

# ახალ-ახალი და ნაირ-ნაირი



ნაირა ნიჟარაძე

*__აქ__ არ დაბადებულა, თორემ სხვამხრივ პოპულარული საბავშვო, ასევე – სადიდო პოეტი __ნაირა ნიჟარაძე__ ჩვენი სარედქციო ოჯახის წევრია. მისი ახალი, ჯერ კიდევ მელანშეუმშრალი ლექსები პირველად ჩვენს გაზეთში იბეჭდება. ამ სიტყვების დასტურად აქვე გთავაზობთ ახალ-ახალ ნიმუშებს.*

## გაიხარეთ!

**პურის** თავთავებო,
ქერის თავთუხებო,
მატყლქუნქულა ცხვრებო,
რქაგრეხილა თხებო!
მწვანე იონჯებო,
ყვავილების ჭალავ,
გაიხარეთ ერთად,
ყველგან მთად და ბარად.
მზეს უყვარხართ ყველა,
ნუთუ, არა გჯერათ?
სულ მშვიდობით გევლოთ,
პატარავ და ბერო!

## ჯილდო

**შრომა**,
შრომა
პირველია,
ბაღში ჩქარა
მიგველიან.

ჩავრგოთ ხილი სანაქებო,
გავახაროთ ბაბუ-ბებო.
სიხარული დაგვებედოს,
ვარსკვლავები ჯილდოდ
გვერგოს!

## ლექსო, ზიარო სულისა

**ლექსო,** ზიარო სულისა,
მოდი და გამახალისე,
მავიწყე მწარე წარსული
და მომეხვიე ალისებრ.
ლექსო, ზიარო სულისა,
მოფრინდი, მომიალერსე,
მაცნობე ყოვლის სიკეთე
და სიხარულით გამლექსე.
ლექსო, ზიარო სულისა,
მითხარ – მშვიდობა არისო
და საქართველოს მიეცი
სიცოცხლე სამარადისო!

## მარადიული ცეცხლი

**გაზაფხული** გამარჯვების
სიმღერებით მოვიდა,
პაპაჩემი ორდენებით
ჩამოვიდა სოფლიდან.
ყვავილებით გავეშურეთ
გმირთა სასაფლაოზე,
იქ მებრძოლის ძველი ტანკი,
ახლაც, ძლიერ მაოცებს.
სძინავთ გმირებს, ვინც დაიცვა
ეს ქვეყანა მზიური,
ზეცას წვდება მათი სუნთქვა,
ცეცხლი მარადიული!

## გაზაფხული და მზისეთი

**უკვე** გაცოცხლდა გაზაფხული,
არავინ უშლის,
გადმოიხედე დედა-მთვარევ,
აყვავდა ნუში.
იასამანმა გაიღვიძა
ლურჯად ციმციმებს,
ასე წარმტაცი ეს ბუნება
ისევ იღვიძებს.
შემოჭიკჭიკდნენ ჩიტუნები
ჩემს ფანჯარასთან,
სინათლის სხივმა
ალიონზე შემოანათა.
ცას შეჰყურებენ ირგვლივ მთები
დათოვლილები,
მაღლა ღრუბლები მიმორბიან,
როგორც ირმები.
ყაყაჩოები ჩვენს მინდვრებში
გაწითლებულან,
ტყემლები, ბლები ყვავილობენ,
თეთრად ნთებულან.
აღელდებიან მთებზე ცელქი
ნაკადულები,
დაეშვებიან ფერდობებზე
ცივი, ულევი.
თითქოს ამ გულმაც გაიღვიძა,
ძალუმად ფეთქავს,
კვირტებმაც მწვანედ გაიღვიძეს
ძმურად და ერთად.
ისევ ვისურვე, მოგვიბრუნდეს
ახალგაზრდობა,
როგორც მობრუნდა წელიწადი,
ლტოლვა და თრთოლვა.
ისევ ვისურვე სიყვარული
შეუდარები,
როგორც ცვრიანი დილები და
თბილი დარები,
უფალო ჩემო, იქნებ ისევ
მომცე სიცოცხლე,
რომ ხელმეორედ მწვერვალისკენ,
ცისკენ ვილტვოდე.
ჩვენს საქართველოს მოაშორე
მტრები ისეთი,
ყველამ უწოდოს ამ ქვეყანას
მხოლოდ „მზისეთი“.

## ნინიკელა

**ნინიკელა** ცანცალა
ცეკვავს, არვის აცალა,
ტაში ჩქარა, ტაშიო,
აფრინდები ცაშიო.
შემოვძახებ მაგასო,
საჩუქრებით ამავსო.
დაბადების დღისათვის
ის მიყიდის ჰამაკსო.

## წიგნი და თათია

**წიგნი** მისცეს თათიას,
მოაგლიჯა ყდა,
დახია და დაფლითა,
გაატანა ქარს.
ნუ იქნები თათია,
მგლეჯელი და ფანტია!

## ტაძრები

**გვაქვს** უდიდესი ტაძრები:
ვარძია, გელათი, ზარზმა,
ოქროს მარჯვენით ააგო
გმირმა ქართველმა ხალხმა.

## უზრდელი ფისო

**– რას** მიირთმევ ფისო?
– ფაფა მიყვარს რძისო,
მაგიდაზე ავალ,
არ ჩამოვალ ძირსო.
უზრდელია ფისო
და თავი აქვს ხისო.

## გულკეთილი ფისო

**–უჰ,** რა ცივა, ცივა,
ფანტელები ცვივა.
ახურებენ ბუხარს,
შეშა იწვის უხვად.
კურდღელი და ძაღლი
დასკუპულან ერთად.
ფისო მოდის შეშით,
ილიმება ეშხით.
– გათბით, პატარებო,
ჩემო ტკბილო ძმებო.
– ცივა, ცივა, ცივა,
ფანტელები ცვივა!

# ლექსები მალე გამოსაცემი წიგნიდან

ლეილა ვადაჭკორია



**დავით გურამიშვილი** წერდა: „მაშინ იხარებს მწიდნავი, ოდეს მიითვლის მტევნებსა“. დიახ, პოპულარული საბავშვო პოეტი **ლეილა ვადაჭკორია** მაშინ გაიხარებს, როცა მისი მუზის ნაყოფი – ლექსთა კრებული **„ციდან მოკრეფილი ვარსკვლავები“** გამოვა. ეს კი მალე იქნება. მანამდე კი ანონსის სახით იმ წიგნიდან მკითხველს რამდენიმე ნიმუში, როგორც ჭაშნიკი, ისე გავასინჯოთ.

ლეილა ვადაჭკორია დიდად მადლიერია 90 წლის გაზეთ **„სახალხო განათლებისა“**, რომლის ფურცლებზე პირველად დაიბეჭდა მისი ნაწარმოებების უმრავლესობა. პირველი სიყვარული ხომ მაინც პირველია და მას ვერაფერი შეედრება, პირველი შვილის შეძენით გამოწვეულ სიხარულს ვერაფერი გადასწონის. ასევე ემადლიერება პოეტი მეტად პოპულარულ ჟურნალ „ათინათის“. აქაც ხშირად ბრწყინავს მისი **„ციდან მოკრეფილი ვარსკვლავები“**. ლეილა ვადაჭკორიამ მშვენივრად იცის: „მამულს – გული უპირველეს ყოვლისა, დღეს რომ უფრო მეტად სჭირდება“.

რედაქტორი

## ახალი წელი

**მობრძანდი,** წელო ახალო,
იქნება, ფერი ვიცვალოთ,
სიცრუეს ფესვი მოვუსპოთ,
სიმართლეს ნერგმა იხაროს.
სიმართლის ფრთები შევასხათ,
ღვთის სიტყვა ვიღოთ ყურადა,
ერთმანეთს ხელი ჩავჭიდოთ,
მამულს დავუდგეთ გულადად.
ისეთი ფეხი გვქონოდეს,
რომ დავიამოთ ტკივილი.
სამშობლოს კიდით-კიდემდე
აალისკროვნოს ღიმილი.

## ღვაწლი

**ყველას** თავისი ნაღვაწი,
თვისი ქმნილება უყვარს,
ლეკვს გაზრდი, შეგიყვარდება,
მოეფერები ყურშას.
ყვავილებს წყალს რომ დაუსხამ,
გვირგვინს დაუთვლი ფურცლებს,
როგორ გიყვარდა, ეტრფოდი
გაგახსენდება უცებ.
ზოგჯერ ტკივილსაც გახსენებს,
რომ უკანასკნელ გზაზე
მიაცილებდი ახლობელს
და ცრემლს კი მოგგვრის თვალზე.
ვაზს უვლი, ესათუთები,
მერე უკოცნი მტევანს,
ზვრებს ხედავ, გეამაყება,
როგორც შვილები დედას.
ეს საბუდარიც რომ გიყვარს,
სახლის კედლები, ეზო.
ჩემი სამშობლო მიმყოფე
გალაღებული, ღმერთო!

## არა მშურს

**არცერთი** შურით არა მშურს,
არც კეთილით, არც ბოროტით.
იცხოვრა ვინც იღბლიანად,
დრონი აართვა მოლოდინს.
ვინაც მოზომა გონებით
საჭირო დრო და ადგილი,
იშრომ-იღვაწა ალალად,
მზეს შეეფიცხა დაღლილი.
სულ ცდილობს სხვას უნებურად
არ მიაყენოს ზიანი.
მხურვალედ დამინოცნია
ასეთი ადამიანი.

## ფარისეველი

**სითეთრე** გამეფებულა,
რუხი არა სურთ ფერები,
ნარცისმაც თვალი მარიდა,
ძირხველს თუ მოვეფერები.
გულს მიკლავს სიბრალული და
არც არა მინდა შეწევნით,
სული ვერ დავაშოშმინე,
სიზიფეს შრომას ვეწევი.
ვერ გადავწონეთ ურწმუნო,
სულს ვერ ავხსენით ბორკილი,
მიწა დაბზარა სიმძიმით,
გამრავლებულა ცოდვილი.
მაშინებს ფარისეველი,
იოლად რომ ვერ ვიცანი,
მცირეს ამწევი მირჩევნის,
ალალმართალი ვინც არის.

## მეგზური

**აქ** გაზაფხული უშენოდ
უკვე რამდენჯერ მოვიდა.
ცხრა მთას იქით რომ წახვიდე,
მაინც თვალს მოგკრავ შორიდან.

მე ვერსად დავემალები,
მზე გამაყოლე მეგზურად,
წუხელ, ძილის წინ სასთუმალს
შენი აჩრდილი მესტუმრა.

## რას ვიფიქრებდი

**რას** ვიფიქრებდი, ვკარგავდი,
თვალი მივლულე ისე,
გამოვიხედე, სადღაა,
სულს რომ მეფინა მზისებრ.

თურმე მთვარესთან პაექრობს,
ვარსკვლავთ დაუკრავთ ტაში,
აქ ცოდვილობდა, იქ თურმე
ლაღად დაფრინავს ცაში.



ზურაბ ქობალია

## გიორგი და დავითი

**ყოველდღე** რომ ლექსი ვწერო,
რა გამოვა ამითი,
ქვეყანას დღეს უნდა უფრო
გიორგი და დავითი.
ჭყონდიდელის აღმზრდელობა,
დავით მეფის ამინდი,
უნდა გვქონდეს განსაზღვრული,
ეს ქვეყანა სად მიდის
საით მივექანებით და...
და მიზანი სად არი.
ნეტავ, კიდევ სადმე თუა
ჩვენი ქვეყნის სადარი
სხვა ქვეყანა, მსგავსი მაინც,
სადაც ღვივის ლადარი,
არ მეგულვის მე და ვიცი,
არსად, არსად არ არი!..

## მუზამაც დამინდო

**წუხელ** მუზამაც დამინდო,
ცოდვა ხარ, დაიძინეო,
სასთუმალს ჩამომჯდარიყო,
აქვე დავიდე ბინაო.
ლექსებზე ნულარ იდარდებ,,
სხვაც გამოჩნდება ვინმეო,
შენ დაიძინე, სიზმარში
ნახე სამყარო კიდეო.
ცეკვა-თამაშით იარე,
სადმე არ მოიწყინოო.
მე აქ დაგხვდები, ნუ ჯავრობ,
ყველგან სვი კარგი ღვინოო.
ლამაზ ქალებთან იცეკვე,
ცუდი არ გაიკვირვოო,
უფალმა შექმნა სამყარო
უკიდეგანო კიდეო.
სიზმარეთიდან დაბრუნდი,
მე აქვე მომიკითხეო,
შენს სასთუმალთან ვიქნები,
მანდვე მექნება კუთხეო.
წუხელ მუზამაც დამინდო,
რადგან ვიყავი დაღლილი,
ერთი რამ მაინც შევიძელ,
ამ ლექსს ამოვდე აღვირი.

## სული თუ გული?

**სადაცა** ვარ ამ ბოლო ხანს,
არსად მიმეჩქარება,
მაგრამ სადღაც მიმაქანებს
გული ჩემი, თავნება.
მაგრამ სული არ მორჩილებს,
არა და არ დანებდა,
ნეტავ, რატომ არ უჯერებს,
ნეტავი, რას ავნებდა?!
მე კი ვწევარ სულგანაბვით,
სიყვარულით თანგული,
რომელია ჩემთვის მარგი,
სული ჩემი თუ გული?
კითხვა არის მარად ესე,
ეპოქებს რომ გადაწვდა,
ჩუმად არის გონი ჯერე,
პასუხი, კვლავ, არ გამცა.

## უძირო ღამე

**მე** არ მაძინებს უძირო ღამე,
ცაზე ვარსკვლავთა კიაფი,
მობოდიალე თანაც ის მთვარე,
ცოტა მიზეზი კი არი?!
აქ კი შენა ხარ იმის მიზეზი,
რაც უძილობად მიქცევს ღამეებს,
ახლა მოვძებნოთ კრძალვა ისეთი,
სამშობლოს ბრწყინვას რომ დაგვანახებს.
ღამის გატეხვა, გინდ გათენება,
თეთრად იქნება იგი თუ სხვაფრად,
არის სიმბოლო ქვეყნის შენებად,
რომელიც მოგვდგამს ოდითგან ზღაპრად.
გარდასულ დღეებს ვიგონებ ნაღვლად,
არც მოვიგონო ისა ჯობია,
უნდა დავიცვათ ეს წესი მკაცრად:
ხვალინდელი დღე მოსალოცია.
რადგან შენ მუზა გამომიგზავნე,
რა უფლება მაქვს, ამ დროს ვიძინო,
ნეტავი, ხვალე რაღას ვიზამ მე,
ვნახავ მაგ თვალებს, სიღრმით უძიროს.
რომ მერე, კვლავაც არ ვიოცნებო
ჩემი სამშობლოს დიდება მხოლოდ,
შენთან ერთად მსურს ღამე უძილო,
ხვალიდან წყვილად რომ გავუთენოთ.

## მიფორიაქებს სული

**მიფორიაქებს** სული სხეულში,
ისეა, თითქოს, არც იყო ნაზად,
სურს ცხოვრებაში ვიყო რჩეული
და ერთ დროს მოვკვდე, ისიც ლამაზად.
მეც ვეთანხმები სულის ფორიაქს,
ან როგორ შევძლო, არ დავეთანხმო,
თუ ეს სიტყვები გულით მოდიან,
უნდა მომშორდე თავიდან თალხო.
აქ ნაირ-ნაირ ფერებით უნდა
ვინარნარო და ვიფორიაქო,
თუ სამოთხეში არ მერგო ბინა,
მის შორი-ახლოს ვიბორიალო.
ისეა სული, ვით დაბოლილი,
თითქოს ეწამა მთელი ცხოვრება,
ვფიქრობ, სხეულში ჩატეულ სულის
მაინც იქნება, ერთ დროს, ცხონება.

## მიცხოვრია შეგნებით

**დიდი** ფული არ მქონია აროდეს,
თუმც მცირედზეც არ ვყოფილვარ ყაბულს,
კარგ საქმეებს მოვახმარდი მას ოდენ,
სხვა რა საქმე უნდა ჰქონდეს ან ფულს.

დღემდე ასე მიცხოვრია შეგნებით,
უფულობამ დაღი ველარ დამასვა,
ბევრი რამე უფულოდაც შევძელი,,
ბედისწერამ თავზე ვერვინ დამასვა.

ახლა ჩემში სულ სხვა რამე ტრიალებს,
უფლის ნებით, კვლავ, ბევრი რამ კეთდება.
ჩემს საქმეებს არასოდეს ვინანებ,
რადგან მქონდა, მუდამ, ერთი შეგნება.

მარად საქმის მე ვიყავი ერთგული,
ამ საქმეებს მარადჟამ ვუერთგულებ,
რადგან, რამე უკეთ არა მეგულვის,
ვინემ სული შთავუბერო თალხ გულებს.

## 103-ე ბაგა-ბაღში ბავშვის აღზრდისა და განვითარების სტანდარტები დაინერგა

# „ეს მიმზიდველი ადგილია“







**სკოლამდელი** აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში 2 წელია მიმდინარეობს **„ბავშვის აღზრდისა და განვითარების სტანდარტის“** დანერგვა, რომლის მიზანიც ხარისხიანი საალმზრდელო პროცესის ხელშეწყობაა. თბილისის **ლოგოპედიურ** ბაღში, რომელიც გლდანის მე-8 მიკრო-რაიონში 40 წელია ფუნქციონირებს, აღსაზრდელებისთვის განსაკუთრებული გარემოა შექმნილი. წელს ბაღს სახელი შეეცვალა და **103-ე ბაგა-ბაღის** სახელით, ყოველმხრივ მოწესრიგებული საალმზრდელო თუ ტექნიკური პირობებითა და პროფესიონალი, გამოცდილი აღმზრდელ-პედაგოგების დაუღალავი შრომით, აგრძელებს პატარების მომავალზე ზრუნვას. თავდაუზოგავი და ობიექტური ხელმძღვანელი, გულისხმიერი, კომუნიკაბელური და ერუდირებული პიროვნება, ქალბატონი **მზია კოტიაშვილი** 5 წელია ერთგულად ემსახურება თავის საქმეს და სწორად წარმართავს ყველა იმ საკითხს, რომელიც ბაგა-ბაღის თანამედროვე სტანდარტების დონეზე ფუნქციონირებას განაპირობებს.



მეთოდოლოგია, რომელსაც ახალი სტანდარტი გვთავაზობს, საშუალებას იძლევა, ბავშვის შესაძლებლობიდან და ინტერესებიდან გამომდინარე დაგეგმოს აღმზრდელმა, რა როგორ ასწავლოს და ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით გაზარდოს მათი ჩართულობის ხარისხი, რასაც სწორად წარმართავენ აღმზრდელები მზაობის ჯგუფებში: **„ყოჩივარდა“ – მაკა მუმლაძე** და **მარინა კიკვაძე;** **„მერცხალი“ – ხატია მაისურაძე** და **ნინო ყაველაშვილი; „ნაკადული“ ფატი ცუცქირიძე** და **ლამრიკო ჯგერენაია; „მტრედები“ – თიკო გაგანაშვილი** და **თინათინ მოსიაშვილი; „მინიონები“ – ნინო დანელია** და **სოფო პირველი; „მზე“ – ირმა გარსიძე** და **ლელა რეხვიაშვილი** (ერთადერთი რუსულენოვანი ჯგუფი); 4/5 წლიანთა ჯგუფები: **„ყაყაჩო“ – ლია რაზმაძე** და **მარინა კირვალიძე; „თოლია“ – ნანა ოჩხიკიძე, ნინო ნორაკიძე; „ფუტკრები“ – მარინა ხაჩიშვილი, ნათია აბრახამია; „პეპელა“ – მარიკა ხუროშვილი;** 3/4 წლიანთა ჯგუფები: **„ჭიამაია“ – ინდირა ტუღუში, მაია მჭედლიძე; „ცისარტყელა“ – რუსუდან ხურცილავა, ლალი ყურაული; „ცეროდენა“ – ლელა გურასპაშვილი, სალომე ფხალაძე; „ციცინათელები“ – ლალა გურული, ლია ბერიძე**; ბაგის ჯგუფები: **„თაბუნი“ – ირინა ლაცაბიძე, შორენა ჭინჭარაული; „გვირილა“ – ლალი გელაშვილი, თამილა იმედაშვილი, „ვარსკვლავები“ – ინგა კურტანიძე, მარიამ ჩიტაური; „მზიანეთი“ – ლელა ცერცვაძე, რუსუდან ღულუნიშვილი**.

ინკლუზიური განათლება დაუსრულებელი პროცესია, რომელიც სულ უფრო იხვეწება და



გამოცდილებით უმჯობესდება. ბაგა-ბაღში ფუნქციონირებს მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული **მულტიდისციპლინარული გუნდი,** რომელიც ბავშვთა სოციალიზაციასა და ინტეგრაციას ახდენს და თითოეულ მათგანზე, მშობლებთან ერთად, ინდივიდუალური განვითარების გეგმას აწარმოებს. მუშაობენ როგორც ჯგუფებში, ასევე სათანადოდ აღჭურვილ რესურს ოთახებში ინდივიდუალურად. გუნდის შემადგენლობაში არიან – **დირექტორი,** საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორები **მაია შეკიშვილი** და **მანანა ბეროზაშვილი-მერებაშვილი**; ფსიქოლოგები – **ნატო მეფარიშვილი, მედეა კაციტაძე, ქეთევან მერებაშვილი;** ლოგოპედები – **ლია ხარაძე, თინათინ სარიშვილი, ნინო გაბაშვილი, ლალი ჯაგაშვილი, მზია გელაძე, მაყვალა გერგაია;** სპეც. პედაგოგები – **ნათია გივიაშვილი, ირმა სამხარაძე-ქველაძე, ნელი ჩიტაძე;** გასულ წელს მეთოდისტებმა გაიარეს გადამზადება – **ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტი**; ასევე, დირექტორის მოწვევით, ამ ბაღში, რომელიც ერთ-ერთი იყო 5 შერჩეული ბაღიდან, ჩატარდა 72 საათიანი ტრენინგი – **ადრეული ინკლუზიური განათლებ**ა.

კომფორტული, თანამედროვე სასწავლო-აღმზრდელობითი კერის შექმნაში თავიანთი წვლილი შეაქვთ – დირექტორის მოადგილე **თინა აფშილავას,** საქმისმწარმოებელ **მაკა ობგაძესა და ნესტან ფოფხაძეს**, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორებს **ზეინაბ ჭანკოტაძესა და ინგა ტალახაძეს;**

ჯანდაცვის კოორდინატორები – **თეა ბოჭორიშვილი და მარინე ობგაძე** ყოველდღიურად ამოწმებენ უმაღლეს დონეზე დაცულ ჰიგიენას როგორც ჯგუფებში, ასევე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილ სამზარეულოში, სადაც მზარეულები – **ციცინო კელაპტრიშვილი-გორგაძე, ნატალია ესართია, ნარგიზა გამყრელიძე, შორენა ყაველაშვილი და ქეთევან ქვრივიშვილი** უმაღლესი ხარისხის პროდუქტისგან, ბავშვებს უგემრიელეს კერძებს უმზადებენ.



ბაღში ბავშვის ყოფნა, მისი განვითარებისთვის ეფექტური უნდა იყოს, განსაკუთრებით დასაფასებელი კი აღმზრდელის თანაშემწეების შრომაა: **ირმა იმერლიშვილი, ეკა ჩხაიძე, ეკა ობგაძე, ია კუპატაძე, ეკა ბუწანკალური, დალი ხატიაშვილი, ლალი ნეფარიძე, ზეინაბ გასიტაშვილი, ხათუნა ყალაგაშვილი, ლელა ბეგიჯანაშვილი, თინა კვიჟინაძე, ეკატერინე გურგენაშვილი, ნანული საჯაძე, ქეთევან ებანოიძე, ელზა გუმბერიძე, თამარ რაზმაძე, შორენა ბახტურიძე, თეა კუპატაძე, მაია ქაშიბაძე, ნუნუ კენკიშვილი, ნაირა ლოლაშვილი, თეკლე გეთიაშვილი, დოდო ოთიაშვილი, დალი ონეზაშვილი, მარინე ეპიტაშვილი, ნინო სესიტაშვილი, ანა მარტყოფლიშვილი, სალომე ჭინჭარაული, ინგა ქენქაძე, ელენე ბაჩილავა, ნონა ოჩხიკიძე, ლია კაიდარაშვილი, ფიქრია გიორგაძე, სოფიო გელაშვილი** – მთელი დღის მანძილზე პატარებს ზრუნვასა და ალერსს არ აკლებენ;



ხარისხიანი განათლების განხორციელებაში ბაგა-ბაღის ადმინისტრაციას გვერდით უდგას თბილისის მერია და ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო. წლევანდელ სასწავლო წელსაც განახლდა ინფრასტრუქტურა, შეიძინეს ახალი ინვენტარი, ეზოსა და ფოიეში დაიდგა ახალი სათამაშოები, ყველა საალმზრდელო ჯგუფში დამონტაჟდა ვიდეო თვალი; ბაღი სისტემატურად მარაგდება მრავალფეროვანი სათამაშოებით, შემეცნებითი, განმავითარებელი და დიდაქტიკური მასალებით. სამომავლოდ, ეზოში ასფალტის საფარის დაგებაზეც ფიქრობენ. ამ ყველაფერზე და შენობის მოვლა-პატრონობაზე კი ზრუნავს ტექნიკური პერსონალი: **სილვა ხოშებაევი, თამარ წიკლაური, ლია კახაძე, მაია ოყროშიძე, მზია ქვლივიძე, მზია გრიგალაშვილი, ეთერ გვიმრაძე, ხათუნა თვაური, დესიკო აროშიძე, მანანა სულაძე, ზინაიდა მუმლაური, ნანა ფონჯავიძე, ლალი დალაქიშვილი, ლუიზა გვიანაძე, ნანი მიშველაძე, ნაილი ტყემალაძე, ვიოლეტა ჩხაიძე, მერი გოგიაშვილი, მზია ფიფია, თეონა მექოშვილი, ნინო მაღლაფერიძე, თამაზ სურგულაძე, ლაშა სურგულაძე, ალექსანდრე სურგულაძე, ნუგზარ გურგენაშვილი, ლია ავეტისოვი, შორენა კოტორაშვილი, თეა ტაბატაძე;**

ეს საალმზრდელო დაწესებულება ხელს უწყობს ნებისმიერი აღსაზრდელის ჰოლისტურ განვითარებას, ზრუნავს ისეთი გარემოს შექმნაზე, რომლის მესიჯიც იქნება –„ეს მიმზიდველი ადგილია“ და „ეს ადგილი ჩვენ გვეკუთვნის“. აღმზრდელ-პედაგოგები სხვადასხვა განმავითარებელ აქტივობებსა და ღონისძიებებს ატარებენ, როგორიცაა **„შემოდგომის ფესტივალი“, „საახალწლო კარნავალი,“** რომლებსაც ალამაზებს მუსიკისა და ცეკვის პედაგოგების – **ნინო ტრაპაიძის, ლეილა ლიპარიძის, ეთო მამულაშვილის, ეკატერინე კობაიძისა და რაინდ სამხარაძის** მიერ დადგმული მუსიკალური ნომრები. წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სულ რამდენიმე დღის წინ, (მე-15 ჯგუფში, აღმზრდელი **თიკო გაგანაშვილი**) მოიწვიეს საბავშვო პოეტი **მარიამ წიკლაური,** რომელმაც ბავშვებს ლექსები და ზღაპრები წაუკითხა.

წლის ბოლომდე კიდევ არაერთი ღონისძიება იგეგმება სტანდარტით გათვალისწინებული თემების გასაცნობად, სადაც ყურადღება გამახვილდება ბავშვების ჰოლისტურ, ფიზიკურ განვითარებაზე, ფსიქო-ემოციური განწყობაზე, გამომგონებლობასა, კომუნიკაბელურობასა და თანამშრომლობაზე. ბავშვი თამაშში უნდა განვითარდეს და უნდა იყოს აქტივობების ინიციატორი, რომელშიც აღმზრდელ-პედაგოგი საჭიროებისამებრ ჩაერთვება. საგანმანათლებლო კუთხით კიდევ უფრო განვითარებაზეც ფიქრობენ.

ნათია გურგენიძე



მე-12 ბაგა-ბაღი – განახლებული და მოწინავე

# აქ პრიორიტეტი ბავშვთა უსაფრთხოებაა





**ყველას** კარგად გვესმის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სკოლამდელი აღზრდა და განათლება ბავშვთა განვითარებისათვის, რისთვისაც უმთავრესია შესაბამისი გარემოს შექმნა. ამ მხრივ, შესანიშნავი მდგომარეობაა მე-12 ბაგა-ბაღში, რადგან იდეალური გარემოა შექმნილი პატარების სრულფასოვანი აღზრდა-განვითარებისთვის. აქ აღმზრდელები გამოირჩევიან პატარებთან ინდივიდუალური მიდგომით და გულისხმიერებით. ბაღის მიღწევები კი, ბავშვებთან და პერსონალთან სწორი დამოკიდებულების შედეგია. მთელი კოლექტივი ერთ გუნდად არის შეკრული, მათ ურთიერთპატივისცემა აკავშირებთ და ერთი დიდი ოჯახია, სადაც უსიტყვოდ უგებენ ერთმანეთს.

მე-12 ბაგა-ბაღი მართლაც მზესავით კაშკაშა და ნათელია და, შეიძლება ითქვას, უბნის მშვენებაა. იგი აეროპორტის დასახლებაში მდებარეობს და დიდი პოპულარობით სარგებლობს. როგორც უკვე აღვნიშნე, ყველანაირი პირობაა იმისათვის, რომ აღსაზრდელებმა თავი კომფორტულად და ბედნიერად იგრძნონ. არადა, საბავშვო ბაღი რეაბილიტაციამდე, შეიძლება ითქვას, კატასტროფულ მდგომარეობაში იყო. ამას მოწმობს ის ფოტოებიც, რომელიც ფოიეშია გამოკრული და თითოეულ მნახველს სრულ წარმოდგენას უქმნის, თუ რა გრანდიოზული სამუშაოები განხორციელდა. სამომავლოდ, დაგეგმილია ეზოს კიდევ უფრო კეთილმოწყობა.

ამჟამად, საბავშვო ოთახები და დერეფნები მორთულ-მოკაზმულია სხვადასხვა თვალსაჩინოებებით, კედლებს ამშვენებს პატარების და აღმზრდელების ნამუშევრები, ნახატები, აპლიკაციები და გამოძერწილი ზღაპრის გმირები. ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასთან ერთად, ბაღი აღიჭურვა თანამედროვე ინვენტარით, სათამაშოებით და ლიტერატურით.





ბაგა-ბაღს, წარმატებით ხელმძღვანელობს შესანიშნავი მენეჯერი **ნინო ბუჩაშვილი**. იგი გამოცდილი კადრია და უკვე მრავალი წელია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში მუშაობს. თავდაპირველად აღმზრდელი იყო, ხოლო შემდეგ 169-ე ბაღის დირექტორი გახლდათ. მე-12 ბაღს უკვე რამდენიმე თვეა ხელმძღვანელობს და შეიძლება ითქვას ბაღი ააღორძინა და აბსოლუტურად შეცვალა შენობის შიდა და გარე ინტერიერი. ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელის **კახაბერ გვანცელაძის** მხარში დგომით და დირექტორის ერთობლივი ძალისხმევით, ბაღი კომფორტული და მიმზიდველი გახდა პატარებისთვის და მშობლებიც კმაყოფილები არიან.

**ნინო ბუჩაშვილი:** მე-12 ბაგა-ბაღში სულ რამდენიმე თვეა რაც ვმუშაობ, მაგრამ სააგენტოსთან ერთად, ბევრი სამუშაო განვახორციელეთ. შენობის რეაბილიტაციის გარდა, შიდა ინტერიერი სრულიად ამორტიზებული იყო. ბაღს არ ჰქონდა შესასვლელი გზა. სამგორის რაიონის გამგეობის დახმარებით კი, დღეს ბაღის ეზოში გადაადგილება უსაფრთხოა. გათვალისწინებულია ასფალტის საფარის 100 კვ.მ ფართზე დაგება. პროექტის განსახორციელებლად, გამგეობის ბიუჯეტიდან 72-000 ლარი გამოიყო. აქვე დიდი მადლიერებაა მინდა გამოვხატო სააგენტოს ხელმძღვანელის **კახაბერ გვანცელაძის** მიმართ, რომელიც მუდამ მხარში გვიდგას და გვეხმარება. ჩვენს ბაღში სარემონტო სამუშაოები 4 თვის მანძილზე მიმდინარეობდა და დასრულების შემდეგ, გრანდიოზულად გაიხსნა 25 ნოემბერს, რომელსაც ესწრებოდნენ დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**, ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელი **კახაბერ გვანცელაძე** და რაიონის გამგეობის წარმომადგენლები. რაც შეეხება სააღმზრდელო პროცესს, იგი შესანიშნავად მიმდინარეობს. დიდი ყურადღება ექცევა მშობელთა ჩართულობას, ინკლუზიურ განათლებას, ტარდება შიდა სემინარები პერსონალისთვის, ვაცნობთ მათ **„ბავშვთა უფლებების კონვენციას“** და ა. შ. ბაღის უსაფრთხოა და ეს ჩვენი მთავარი პრიორიტეტია - ბავშვთა უსაფრთხიება. ზედმიწევნით დაცულია ჰიგიენის ნორმები და სანიტარული წესები. სამზარეულო მოწესრიგებულია, გამწოვი და სავენტილაციო სისტემა შეიცვალა. დიდი ყურადღება ექცევა შემოქმედებით პროცესს, ტარდება სეზონური ღონისძიებები და სხვადასხვა აქტივობები.





ამჟერად, ბავშვები საგაზაფხულო ზეიმებისთვის ემზადებიან. შეიქმნება საგაზაფხულო ინტერიერი და, შეიძლება ითქვას, ავაყვავებთ ბაღს. პატარები თავიანთი ხელნაკეთი ნივთებით გამოფენას მოაწყობენ და ასე აღნიშნავენ **„დედის დღე“**-ს. საბავშვო ბაღი ზაფხულშიც ფუნქციონირებს. სამომავლოდ დაგეგმილია ეზოს უფრო გალამაზება და პროექტის **„ავტო ქალაქი“**-ს განხორციელება.

აქ სულ 8 ჯგუფია და 334 ბავშვია. **„სასკოლო მზაობის“** პროგრამა წარმატებით ხორციელდება. სადაც 100 აღსაზრდელია.

ბავშვებს ყურადღებას და დედობრივ მზრუნველობას არ აკლებენ ჩინებული აღმზრდელები და მათ გვერდში უდგანან მათი თანაშემწეები.

დირექტორი მაღალ შეფასებას აძლევს თითოეული თანამშრომლის საქმიანობას. მე-12 ბაგა-ბაღის კოლექტივის და აღმზრდელების საქმიანობით კმაყოფილია მშობლები და მთლიანად უბანი, რადგან იგი, სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს... სასიხარულოა, რომ პატარებსაც და მშობლებსაც ბაღის მთელი კოლექტივი უყვართ და მათ აქ სიხარულით მოუხარიათ. ამიტომაც, ბაღის პოპულარობაც იზრდება.

ანანო სამელია





სახალხო განათლება+

## სოფლის სკოლა – საქართველოს სიამაყე

# მუხურის სკოლის დაფუძნების მოკლე მიმოხილვა



**გასული** საუკუნის 20-იანი წლებიდან სოფლის განათლებას საფუძველი ჩაუყარეს **მანუელ და არისტოტელ გაბრიჭიძეებმა, ნესტორ, ივლიანე** და **ზოტინე აბესაძეებმა**, მათ თავიანთი ნაგებობა უსასყიდლოდ გადასცეს სოფელს, სანამ ახალი სკოლა აშენდებოდა.. მუხურაში არის სამი საჯარო სკოლა. მუხურის სამივე სკოლაში გასული საუკუნიდან დღემდე 150-ზე მეტი მასწავლებელი მსახურობდა.. გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან დღემდე, სხვადასხვა დროს, მუხურის სკოლებს 20-მდე სკოლის გამგე თუ სკოლის დირექტორი ხელმძღვანელობდა. მუხურელთა განსწავლულობაში დიდი წვლილი მიუძღვის ვასილ ტაბიძეს. სახელოვანი გალაკტიონის მამას. "მეფე-პოეტის " მამა ვასილ ტაბიძე დროგამოშვებით მუშაობდა მუხურაში მასწავლებლად 1883 წლიდან 1891 წლამდე. დიდმა პოეტმა ორი ლექსი უძღვნა მუხურას: „სამოცდაათი წლის წინ მუხურას აქ მამაჩემი ალგზნებდა ქურას სწავლისას, ჰქონდა პატარა შკოლა და მოწაფენი თითო-ოროლა...." გვეამაყება ის ფაქტი, რომ მუხურამ ქვეყანას გაუზარდა ბევრი სწავლული და განათლებული ადამიანი, და ეს ტრადიცია დღემდე გრძელდება. არ არსებობს ადამიანთა შემოქმედების ისეთი დარგი, სადაც მუხურას არ ჰყავდეს თავისი წარჩინებული: -ხელოვნება, სპორტი, მეცნიერება თუ სხვა. მუხურის სკოლა დღესაც მოწოდების სიმაღლეზეა და ცდილობს უპასუხოს იმ გამოწვევებს, რაც თანამედროვე სკოლის წინაშე დგას.





### ემანუილ გაბრიჭიძე

*მუხურის სკოლის დამფუძნებელი*

**მასწავლებელთა** მასწავლებელი **ემანუილ სამუილის ძე გაბრიჭიძე** დაიბადა 1878 წელს. დედა – **ეკა კიკუტივაძისა** მეტად კეთილი, საზრიანი, წერა-კითხვის მცოდნე და დაუღალავი შრომისმოყვარე ყოფილა. იგი ავტორიტეტი იყო შვილებისათვის. მამა — **სამუილ ვახუშტის ძე გაბრიჭიძე** განათლებული, გამჭრიახი პიროვნება იყო, რომელმაც კარგად იცოდა სწავლა-განათლების ფასი. ოთხივე ვაჟს უმაღლესი განათლება მისცა. სამსახური ზუბალაშვილების კარზე ჰქონდა, სადაც პასუხისმგებელი იყო მთელი მუხურის მამულებზე (ზუბალაშვილების სასახლე ამ სკოლის ეზოში იდგა)... ჩართული იყო ქვეყნის ავკარგიანობის სამსახურში. „ივერია" იყო მისი ცხოვრების გზამკვლევი (იხილეთ „ივერია" № 249).

მან პირველმა გახსნა მუხურაში, ბუიძეების ეკლესიასთან სამრევლო სკოლა. (თუმცა მცდელობა სკოლის გახსნისა ადრეც იყო უშედეგოდ) ამ სკოლაში მეფეთა-მეფე პოეტის გალაკტიონ ტაბიძის მამა, ვასილ ტაბიძე ასწავლიდა 1883-91 წლებში. ამის შესახებ ათეული წლების შემდეგ, მუხურაზე დაწერილ ლექსში ამ სტრიქონით იგონებს დიდი პოეტი: „ის არ არის და სახელიც, მისი არსად არ სწერია, მხოლოდ ხალხი იგონებდა და ილიას „ივერია".

ამ ოჯახში სწავლა-განათლება მეჩვიდმეტე საუკუნიდან მოდის. ემანუილის მამის ბაბუა —ზალიკო გაბრიჭიძე კითხულობდა „ქალ-ვაჟიანს", „ალექსიანს", „„არდ-ბულბულიანს" და სხვა... წერისთვის მუშტისოდენა ყუმბარას სამელნედ და ფრთის კალამს ხმარობდა, რომელმაც ჩემამდეც კი მოაღწია (ნ.ა.). ბუნების დიდ მოტრფიალეს მთავარი ყანა წყალმეჩხერის სათავეში ჰქონდა, წყლის გაღმით და გამოღმით, იქვე მშვენიერი კარვით. (ამონარიდი იემანუილის ვრცელი მოგონებიდან).

ემანუილის ბავშვობისდროინდელი მოგონებები ასეთია: ნიჭიერი, მკვირცხლი, წიგნის მოყვარული, ლაღი, ვერ ეგუებოდა იმდროინდელი სწავლების რეჟიმს და ერთხელ, როცა მის უფროს ძმას — ლავრენტის (სასულიერო სასწავლებლის წარჩინებულ კურსანტს) მასწავლებლებმა ემანუილის მოუსვენრობის შესახებ შესჩივლეს, ლავრენტის უპასუხია: სოფლელი ბავშვია, თავისუფლების მოყვარე და თავისუფლებას ვერ შეუზღუდავთო. სწავლაში უძლიერესი, უმაღლესი სასწავლებლის, სასოფლო-სამეურნეო კურსდამთავრებული დაუბრუნდა სოფელს. მამის კვალს გაჰყვა და 1902 წელს გახსნა სკოლა. სკოლის გახსნის ისტორია კი ასეთია: თავის ეზოში მდგარი შენობა დაარღვია და ბრილისის ეკლესიიდან ათიოდე ნაბიჯის მოშორებით ააგო. თავის ძმასთან — არისტოტელესთან ერთად უფასოდ ასწავლიდა გლეხების შვილებს. შემოიკრიბა იმ დროისათვის სოფლის განათლებული ადამიანები: ნესტორ და ივანე აბესაძეები, სამუილ ჯიხვაშვილი, იოსებ კორტი, ირაკლი ბარბაქაძე, ეკატერინე და ბარბარე გაბრიჭიძეები და სხვები, რომელთა დახმარებითა და ხელშეწყობით იძენდა წიგნებს და გაზეთებს. წიგნები და გაზეთები მოდიოდა მისამართით : „ტყიბული-მუხურა უფასო ბიბლიოთეკა"...ამ სკოლის ბეჭედი „ქ.შ.წ.კ.გს" -ის (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელთა საზოგადოება) წარწერით ოჯახის არქივში ინახება. სკოლა იმ დროისთვის რევოლუციური ცენტრიც იყო სოფელში. ემანუილი ხშირად ხვდებოდა სოსო ჯუღაშვილს, როცა ის ქ. ჭიათურაში 1905 წლის რევოლუციურ საქმიანობას ეწეოდა. ემანუილის ოჯახში ღამეც კი გაუთევია სოსოს. მიუხედავად რევოლუციური მსოფლმხედველობისა, სხვადასხვა გზისა და დროის ბრუნვით სოსოს სტალინად გადაქცევისა, ისინი მეგობრებად დარჩნენ და ემანუილი დახვრეტას გადაარჩინა უზარმაზარი იმპერიის საჭეთმპყრობელმას ტალინმა. ენციკლოპედიური განათლების, ჰუმანისტი ემანუილ გაბრიჭიძე აქვეყნებდა წერილებს სკოლის, სოფლის, გლეხთა მდგომარეობის შესახებ გაზეთებში: - „ივერია", „დროება", „ერი", „ცნობის ფურცელი„, „იმერეთი", „კოლხიდა", „შინაურისაქმეები"... ხელჯოხიანი გლეხები ჩაჰყავდა თბილისში საკუთარი ხარჯით, რათა სამთავრობო ხელმძღვანელებთან თვითონვე ეთქვათ თავის გულისტკივილი. (ამის გამო ბევრი საანეგდოტო ამბავიც გადახდენიათ)... უაქცენტოდ საუბრობდა რუსულ ენაზე, მისი საყვარელი პოეტი ალექსანდრე პუშკინი იყო. თარგმნიდა კიდეც და თარგმანები ახლაც შემონახულია საოჯახო არქივში. ამ განსაკუთრებული სიყვარულისთვის პუშკინის მინიატურული ბიუსტი პეტერბურგიდან გამოუგზავნა მისმა ძმიშვილმა, აკადემიკოსმა — ზაალ გაბრიჭიძემ. ღრმად განსწავლულს ჰქონდა საქვეყნოდ ცნობილი, მდიდარი ბიბლიოთეკა, სადაც თითქმის ყველა დარგის ლიტერატურას ნახავდი თაროებზე (ცნობისთვის) - „დედაენის" გამოცემის 100 წლისთავისათვის პირველი გამოცემა ამ ბიბლიოთეკაში მოიკითხა განათლების სამინისტრომ. მისი სამაგიდო წიგნები: ლოგიკა, ფსიქოლოგია და ფილოსოფია იყო. პირველი მსოფლიო ომიდან უმაღლესი ჩინით დაბრუნდა: „არზრუმის მთავარი სამხედრო კომენდანტი, წმინდა გიორგის ოთხივე ჯვრის კავალერი, პორუჩიკი, ემანუილ გაბრიჭიძე."

ომიდან დაბრუნებულს მშვიდობიანობის პერიოდში დაწერილი აქვს „ქართველი მაჰმადიანები ოსმალეთში". იმ დროს შეძენილი ნოხები, ხმლები, საკერავი მანქანა, დანა-ჩანგალი, სარკე და სხვა ნივთები იმ დროისთვის ჩვენი სოფლისთვის სიახლე იყო. ქალაქ ქუთაისში, საფიჩხიაზე შეიძინა ეზო ქოხით. ამ ქოხიდან უმაღლესი განათლება მიიღო მისმა შვილებმა და შვილიშვილებმა, მისი ძმის — არისტოტელეს შვილებმა და შვილიშვილებმა.



*ფოტოზე: ემანუელ გაბრიჭიძე*

ყველაფერ ამაში მას ხელს უწყობდა მისი მეუღლე ანა რობაქიძე. სათნო და საუკეთესო თვისებების მქონეს, (რომელსაც წერა-კითხვა ამ სკოლაში შეასწავლეს) ფუტკარივით მშრომელს, ახლაც ცრემლით იგონებენ მეზობლები.

სოფლის განმანათლებელს, მის მოამაგეს, ჰუმანისტს, კაიკაცობის გვირგვინს, მისი მადლიერი თაობები ვეტყვით „ჩუმის ხმით...

იყავ მშვიდობით შენს მყუდრო ძილში!
შენ გიცოცხლია როგორც უნდოდა,
და შენი ქნარი შორს ჩვენგან - ჩრდილში,
ამაოდ ჩვენთვის არ ხმაურობდა".

### მუხურის სკოლაში გალაკტიონ ტაბიძის მამა ასწავლიდა

*მუხურასთან ბევრ საინტერესო და არაჩვეულებრივ პიროვნებას ჰქონდა შეხება.*

*"მეფეპოეტის", გალაკტიონის მამა ვასილ ტაბიძე დრო გადმოშვებით მუშაობდა მუხურაში მასწავლებლად 1883 წლიდან 1891 წლამდე...*

*გალაკტიონის პოეზიაში ასეა ის ახამუხურა:*

**„მე** შევხარი ძეგლს, რომელსაც სულდგმულივით გული უხურს
მაგრამ არრაგვარი ძეგლი არშთენია ეხლა მუხურს,

აქ ოდესმე კესარიელს, მიმომხილველს დროთა ბრუნვის,
გზად მოსდევდა ელვარება, მხნე მეექვსე საუკუნის.
და მშვენიერ იმერეთის უუძველეს ქალაქთ შორის,
ის ადიდებს ძველს სარაპანს, ძველს როდოპოლს და მუხურისს.

მეცხრამეტე საუკუნეს აქ მოვიდა მამაჩემი,
ის მოვიდა ხელში წიგნით და ახალი დასძრა გემი.
ის არ არის და სახელიც მისი არსად არ სწერია,
მხოლოდ ხალხი იგონებდა და ილიას „ივერია"

„მამა", ვამბობ და პასუხად მხოლოდ საქმე მხვდება მისი,
ახალ-ახალ გზებით მოდის ძველის-ძველი მუხურისი"

*გალაკტიონის მეორე ლექსი მუხურაზე ასეთია:*

„რა იყო ძველად ჩვენი მუხურა?
ბედმა კარები რად მოუხურა!
სამოცდაათი წლის წინ, მუხურას,
აქ მამაჩემი აგზნებდა ქურას.

სწავლისას, ჰქონდა პატარა შკოლა,
და მოწაფენი თითო-ოროლა,
ცოცხალი არის, ეხლაც იქნება,
მაგრამ ძნელია მათი მიგნება.

სამოცდაათ წლის შემდეგ ის ქურა,
უფრო გაღვივდა, გახდა მუხურა,
გვაშორებს იმ წლებს
არა წუთი და არა საათი,

არამედ წელი სამოცდაათი.
მე მინდა ვკითხო ეხლა მუხურას,
ცეცხლი ხომ ისევ აღვივებს ქურას,
სამოცდაათი წლის წინ რომ ენთო?"

### ტყიბულის მუხურაში სტუმრობისას

**მე** აქ იმდენი პოეტი ვნახე,
იმდენი თბილი რითმა მზიელის,
აფორიაქდა ლექსის აკვანი
და კრთოდა ჩემი პოეზიელიც.

მე აქ იმდენი პოეტი ვნახე
და სურნელება ამ თვის იების,
აბესაძის ხმა და თამადობა
კოპწიაობდა როგორც მძივები.

მე აქ იმდენი პოეტი ვნახე,
იმდენი ნიჭი ზუსტად ზიარად,
ვფიქრობ, ეს მთები არის მუზა
და თვით მუხურა კი - პოეზიაა...

მასალა მოგვაწოდა რევაზ აბესაძემ
**- „სოფელ მუხურის მოკლე ისტორია"**
გვერდი მოამზადა ბერმანე საზანოელმა

## ბაღი „სიხარული“ – ბევრი სიყვარული

# პატარები ბედნიერები არიან





**„სიხარული''** – ასე ეწოდება კერძო საბავშვო ბაღს, რომელიც მართლაც სიხარულის და სიმშვიდის მომგვრელია პატარებისთვის და არა მარტო მათთვის. აქ სტუმრობისას გული გაგინათდებათ და აუცილებლად დადებით განწყობაზე დადგებით. შენობის ინტერიერი და დიზაინი იმდენად შთამბეჭდავია, რომ მაშინვე კომფორტულად იგრძნობთ თავს. ყვავილები და სხვადასხვა თვალსაჩინოებები გემოვნებით არის შერჩეული და წარმოდგენილი. მასპინძელი კი, პირმცინარი და სასიამოვნო გარეგნობისაა და მისი გულთბილი მიღება უმალ, კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. ამიტომაც არის, რომ აღსაზრდელებს აქ მიუხარიათ, ლაღად და ბედნიერად გრძნობენ თავს. ბაგა-ბაღი გლდანის პირველი მიკრო რაიონის, ახმეტელის მეტროსთან მდებარეობს და ამ უბნის მაცხოვრებლების გარდა, აქ დედაქალაქის სხვადასხვა რაიონის პატარებიც არიან. ბაღის პოპულარობას განაპირობებს არამარტო უსაფრთხოება და ჰიგიენური წესრიგი, არამედ ბავშვებისადმი ინდივიდუალური დამოკიდებულება და აღზრდის მეთოდიკა, რაც მშობლებს ძალიან მოსწონთ და ბაღის ადმინისტრაცია სკოლებიდან მადლობის ბარათებსაც იღებენ.

**„სიხარულ''**-ში ყოველი დილა განსაკუთრებულია, რადგან სასიამოვნო მუსიკითა და აერობიკით იწყება. გამაჯანსაღებელი ვარჯიშის გარდა, დიდი ყურადღება ექცევა დაბალანსებულ მენიუს, ჯანსაღ კვებას, სხვადასხვა აქტივობებს, ხელოვნებას, უცხო (რუსული, ინგლისური) ენების შესწავლას, საინტერესო შემეცნებით თამაშებს და ა.შ. საბავშვო ბაღი ზაფხულობითაც ფუნქციონირებს. აქ ეზო კეთილმოწყობილია და შენობის ინფრასტრუქტურა მოწესრიგებული, სადაც გათვალისწინებულია ყველა აუცილებელი სტანდარტი და ადაპტირებულია პატარებზე. ბაღი აღჭურვილია თანამედროვე, ყველა საჭირო ინვენტარით. შენობის ფართი დამაკმაყოფილებელია და დაცულია უსაფრთხოების ნორმები.

**ნატო ტაბატაძე,** ბაგა-ბაღის დირექტორი: ჩვენთან ოჯახური და თბილი გარემოა და თითოეული ბავშვის ნება-სურვილს ვითვალისწინებთ. მშობელთა ჩართულობას კი, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. სკოლამდელი აღზრდის სფეროს კარგად ვიცნობ. პროფესიით ფილოლოგი გახლავართ. კერძო სკოლაში 13 წელიწადი ვმუშაობდი პედაგოგად და სწორედ, მაშინ გამიჩნდა იდეა, რომ გამეხსნა საბავშვო ბაღი. ჩანაფიქრის განსახორციელებლად, მაქსიმალურად გავითვალისწინეთ მშობელთა ინტერესები. ჩვენი მიზანია პატარები სათანადოდ მოვამზადოთ სასკოლოდ. ამიტომაც არის, რომ სკოლებიდან მადლობის ბარათებს ვიღებთ, პატარების სანიმუშოდ და კარგად აღზრდისთვის. ბაგის ჯგუფიდანვე ვიწყებთ ამ საკითხზე ზრუნვას და ცხრილის მიხედვით ვატარებთ იმიტირებულ გაკვეთილებს. თამაშ-თამაშით მიმდინარეობს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, რაც პატარებს ძალიან მოსწონთ. ბაღი მუშაობს დილის ცხრის ნახევრიდან, საღამოს შვიდ საათამდე.ამჟამად 80 აღსაზრდელი გვყავს და ყველა ასაკობრივი ჯგუფია. ყოველწლიურად ვამატებთ ჯგუფს და სამომავლოდ, გათვალისწინებულია ბაღის ფილიალის გახსნაც. შემოქმედებითი პროცესი აქტიურად მიმდინარეობს და ვატარებთ სხვადასხვა აქტივობებს და სეზონურ ღონისძიებებს. ჩავატარეთ გასვლითი ღონისძიება, არტ-ჰოლში, „ბილტმორ“-ში, ხორავას სახელობის თეატრში და ა. შ.

ბაგა-ბაღი **„სიხარული“** 5 წელიწადია ფუნქციონირებს და დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით, რომლებსაც დიდი წვლილი მიუძღვით ბაღის წარმატებაში. მშობლები კმაყოფილნი არიან აღმზრდელების მუშაობით. ესენია: **მანანა ბარბაქაძე, ნანა ახვლედიანი, ფატმან ცუცქირიძე, ია ობგაიძე, ია ფხალაძე, მაკა მუმლაძე** და **მარინა კიკვიძე.** მათ მხარში უდგანან თანაშემწეები: **ნინო ხიზანიშვილი** და **მერი ჭანკოტაძე.** პატარებს ხელოვნებას აყვარებს მუსიკის პედაგოგი **ეკატერინე ბაგალიშვილი.** აღსაზრდელებს გემრიელ საკვებს უმზადებს მზარეული **იზოლდა ცერცვაძე.** მადლობას იმსახურებს ტექნიკური თანამშრომელი **ნაზი წიკლაური.**

დირქტორი განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს აღმზრდელების საქმიანობას, რომლებსაც პატარებთან მუშაობის დიდი გამოცდილება და ინდივიდუალური სტილი აქვთ, ამიტომაც არის, რომ კარგ შედეგებს აღწევენ. გაგაცნობთ მათ მოსაზრებებს.

**ფატმან ცუცქირიძე:** 25 წელიწადია პედაგოგიურ საქმიანობას ვეწევი. ვმუშაობდი სკოლაშიც და საბავშვო დაწესებულებებში, 5 წელია აღნიშნულ ბაგა-ბაღში აღმზრდელისა და ლოგოპედის პოზიციებზე ვმუშაობ. მრავალი საინტერესო აქტივობისა და ღონისძიების ავტორი გახლავართ. მიხარია, რომ ჩვენი აღსაზრდელები სხვადასხვა საკონცერტო დარბაზებში აპლოდისმენტებს იმსახურებენ და სიგელებით ხელდამშვენებულები ბრუნდებიან. ბავშვები კარგად ფლობენ სასკოლო უნარ-ჩვევებს, წარმატებით გავდივართ **„სასკოლო მზაობის პროგრამას“** და ვასწავლით იაკობ გოგებაშვილის **„დედა ენა“**-ს.

**ია ობგაიძე:** რუსული ფილოლოგიის სპეციალისტი გახლავართ და **„სიხარულ''**-ში პატარებს მცირე ასაკიდან ვასწავლით უცხო ენას. სწავლების პროცესი მხიარულად და ხალისით მიმდინარეობს, ბავშვებს მოსწონთ საგაკვეთილო პროცესი და ენასაც ადვილად ითვისებენ. გაზაფხულისთვის ვგეგმავთ მიუზიკლის დადგმას **„მგელი და ჩვილი კრავი“**, რომელიც გაფორმებული იქნება მუსიკალურად და პატარებიც სიხარულით ელოდებიან რეპეტიციებს.

**მანანა ბარბაქაძე:** ორ ათეულ წელზე მეტია აღმზრდელად ვმუშაობ და მრავალი თაობის აღმზრდელი ვარ, თუმცა, აღნიშნულ დაწესებულებაში სამი წელია დავიწყე მუშაობა და ძალიან კმაყოფილი ვარ. პატარები ძალიან მიყვარს და მათთან ინდივიდუალურად ვმუშაობ. თითოეული ბავშვი უნუკალურია და ყველას განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება. პატარებს სითბო და დიდი სიყვარული სჭირდებათ და შემდეგ უსაზღვრო სიყვარულს და ნდობას გამოხატავენ. მათთან მუშაობა დიდი პასუხისმგებლობაც არის და დიდი სიხარულის მომტანიც.

აი, ასეთი გულისხმიერი და პროფესიონალი თამანამშრომლებითაა დაკომპლექტებული ბაგა-ბაღი **„სიხარული“,** სადაც უმთავრესი პატარების კეთილდღეობა, სწორი აღზრდა და მათთვის კომფორტული გარემოს შექმნაა.

მზია გოგოძე








მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე
555 596 050

გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი“
ს/ს 402010587
ს/ს თიბისი ბანკი:
GE 94 TB7249236080100007

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727;
ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050;
ნათია გურგენიძე 593 422 258; ეკა მამუკაშვილი 599 944 592;
მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705;
კონსტანტინე გურგენიძე 555 960 246; გერმანე საზანოელი 593 022 913;
თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;
ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (032) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

სახალხო განათლება+ N2 (4593)
12 თებერვალი / 2020 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

ISSN 1987-9113